ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 29 სექტემბერი, 2017 №231 (7465) ფასი: 50 თეთრი

## რა გამოიწვევს დიდ მღელვარებას რუსეთის სამხრეთში



გვ.4

28 სექტემბრიდან

მანანა ხვედელიძე

ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია

ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი




# ქართველი მილიარდერი, ანზორ კიკალიშვილი, ანაკლიაში მიწის სანაცვლოდ 6 მილიონს ითხოვს



გვ.3

„მთელმა საქართველომ იცის, როგორ წამართვეს. არ მინდა, კიდევ ბევრი რამე ვთქვა, ჯერჯერობით ველოდები. თუ დავრწმუნდები, რომ არაფერი გამოდის, მერე სხვა გზებს ვნახავ. არჩევნებამდე უნდა მორჩეს ეს ამბავი. „ამაზე მუშაობა მიდის და მე მგონი, თქვენ სასიკეთოდ გადაწყდებაო“

## ცენტრ პოინტს საქართველოში მოღვაწე კომპანია ყიდულობს



გვ.2

გუკა რჩეულიშვილი: „პრობლემების მოსაგვარებლად ყველაფერი დავთმეთ“

მარინე ცუცქირიძე: „მაია რჩეულიშვილსა და რუსუდან კერვალიშვილს ალბათ ციხიდან გამოუშვებენ“



## „რატომ ფიქრობს ეს პატარა ბიჭი, ირაკლი კობახიძე, რომ პრეზიდენტს ჭკუით მოატყუებს?“



გვ.3

## მზია წიკლაური: „შატილი სასაზღვრო სოფელია და არ უნდა დაიცალოს!“



გვ.4

## დასაქმებული ღატაკების ქვეყანა

საქართველოში დასაქმებული მოქალაქეების მხოლოდ 18,8%-ს აქვს თვეში 900 ლარი და უფრო მეტი შემოსავალი



გვ.5

### სამართალი

გვ.7



დეკანოზი გიორგი მამალაძე საკვებისა და მედიკამენტების მიღებაზე უარს აცხადებს



ზუგდიდის საკრებულოს აპარატის უფროსი დაჭრეს




კახეთში 23 წლის ახალგაზრდა კაცმა 72 წლის მოხუცი მოკლა

### ეკონომიკა

გვ.6

რა მდგომარეობაა თბილისის მიტოვებულ ადგილებში



მოსწავლეებს ფულის შეგროვება საკლასო ოთახების რემონტისთვისაც უწევთ



სად არჩევენ გაჩერებას საქართველოში ჩამოსული ტურისტები



ISSN 1987-9385

3 ამირან გამყრელიძე: „მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ცხოველი დაგკბენთ. სამედიცინო დაწესებულებას დროულად მიმართეთ“

11 გელა დაიაური პოლიტიკაში წავიდა

5 რომელ ქვეყანაში არ შეუშვეს ყველაზე მეტი საქართველოს მოქალაქე?

10 აშშ-ში მკვლელი ჯამბაზი დაიჭირეს

# ცენტრ პოინტს საქართველოში მოღვაწე კომპანია ყიდულობს

ნონა ცაბაძე

ცენტრ პოინტი გაიყიდა. ამის შესახებ ინფორმაციას ცენტრ პოინტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გუკა რჩეულიშვილი ავრცელებს. მყიდველის ვინაობა არ სახელდება. როგორც რჩეულიშვილი ამბობს, შეთანხმება მიღწეულია და ახლა კომპანიის გადაბარების ტექნიკური პროცესი იწყება.

გუკა რჩეულიშვილის განცხადებით, მათი კომპანიის გაყიდვის მთავარი პირობა იყო დაზარალებულების დაკმაყოფილება და, აქედან გამომდინარე, მაიასა და რუსუდანისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმება.

„ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გუკა რჩეულიშვილსა და ცენტრ პოინტის ადვოკატ **მარინე ცუცქირიძეს** ესაუბრა.

***– ქალბატონო მარინე, ცენტრ პოინტი გაიყიდა. თქვენ, როგორც კომპანიის ადვოკატი, რა ინფორმაციებს ფლობთ, რა ხდება?***

– დიახ, რეალურად მიმდინარეობს მოლაპარაკება ამ საკითხთან დაკავშირებით, უკვე თვეზე მეტია. ქალბატონი მაიაც ჩართულია ამ პროცესში მეხუთე დაწესებულებიდან. ძალიან აქტიურად ვმუშაობთ. დღეს ამ საკითხთან დაკავშირებით დაგეგმილი გვაქვს შეხვედრა. ძალიან წვრილმანი დეტალებია დარჩენილი. ამოვწურავთ ამ დეტალებსაც და ახლო მომავალში ხელი მოეწერება ამ ხელშეკრულებას. ეს ეხება ათასობით ადამიანს, ათასობით დაზარალებულს. ყველა დეტალი შესასწავლი და გასაანალიზებელია.

***– რამდენად არის გათვალისწინებული დაზარალებულების ინტერესები? ისინი შიშობენ, ამ პროცესის მიღმა არ აღმოჩნდნენ.***

– რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია. არა, პროცესის მიღმა ნამდვილად არ აღმოჩნდებიან. იმიტომ გაგრძელდა ეს მოლაპარაკება ამდენი ხანი, რომ ვცდილობთ, არცერთი დაზარალებული არ დარჩეს ყურადღების მიღმა და ყველას ინტერესი იქნეს გათვალისწინებული. სწორედ ამიტომ გაგრძელდა ამდენი ხანი, თორემ შეიძლებოდა ამ ხელშეკრულებაზე ძალიან მარტივად ხელის მოწერა. ჩვენ თითოეული დაზარალებულის პრობლემას გავდივართ. ყველა ობიექტის პრობლემას გავდივართ დეტალურად, რომ არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა, ყველამ მიიღოს უძრავი ქონება და ამ უძრავი ქონების მესაკუთრე გახდეს იმ პირობებში, რაც უწერია ხელშეკრულებაში.

***– ანუ მიიღებენ ძველი ხელშეკრულებებით? ამაზე გთანხმდებიან?***

– დიახ, ძველი ხელშეკრულებებით. ახლა თუ დაიწყება იქ საუბარი რაღაც მიუღებელ შემოსავლებსა და პირგასამტეხლოებზე, მე მიმაჩნია, რომ ამ ვითარებაში ეს არის არასწორი და ეს იქნება ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. აქედან გამომდინარე, თუ მათი მოლოდინი არის რეალურად ის, რომ რაშიც გადაიხადეს თანხა, ბევრ მათგანს ბოლომდე გადახდილიც არ აქვს, მაგრამ ამ ეტაპზე ამაზე არავინ საუბრობს, მიიღონ ის ქონება, რაც იყო მათი ინტერესი თავიდან.

***– როდის დასრულდება ეს პროცესი?***

– ძალიან მალე. ამ წვრილმან დეტალებზეც ჩამოვყალიბდებით. ქალბატონი მაია 24-საათიან რეჟიმში მუშაობს საპყრობილეში. ჩვენ მივდივართ, მისი მოსაზრებების მოსმენა ხდება, მისი დირექტივების გათვალისწინება. ალბათ უკვე ოქტომბერში მოეწერება ხელი ხელშეკრულებას და ამის შემდეგ მყიდველი კომპანიის ვინაობასაც გავამხელთ.



მარინე ცუცქირიძე: „მაია რჩეულიშვილსა და რუსუდან კერვალიშვილს ალბათ ციხიდან გამოუშვებენ“

***– იქნებ ის მაინც გვითხრათ, უცხოური კომპანიაა თუ ქართული?***

– თვითონ მყიდველმა ძალიან გვთხოვა, რომ მისი იდენტიფიცირება ჯერ არ მოხდეს, სანამ ხელშეკრულება ძალაში არ შევა, სანამ ხელი არ მოეწერება. როგორც კი ხელი მოეწერება, მაშინვე გავაჟღერებთ მის ვინაობას და პრეზენტაციასაც გავაკეთებთ. მერწმუნეთ, ძალიან ავტორიტეტული და ძლიერი კომპანიაა.

***– ცენტრ პოინტი მთლიანად გაიყიდა თუ მეწილედ მაინც რჩება რჩეულიშვილების ოჯახი?***

– ძირითადი აქტივები მიაქვს ინვესტორს, რათა მოხდეს ამ აქტივებით იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც გადავა ინვესტორზე. რჩება ძალიან უმნიშვნელო, პირადი საკუთრებისთვის, უმნიშვნელო რაოდენობის უძრავი ქონება, რომელიც სალაპარაკოდ არც ღირს. ძირითადი აქტივები მიაქვთ.

***– პარალელურ რეჟიმში თუ მიმდინარეობს საუბარი პროკურატურასთან, რომ მოხდეს საპროცესო შეთანხმება და გამოვიდნენ მაია და რუსუდანი?***

– რა თქმა უნდა! ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა. წარმოიდგინეთ, მაია რჩეულიშვილმა თუ მთლიანი ქონება გადასცა ინვესტორს, რა თქმა უნდა, ეს ხდება დაზარალებულების დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე, აღარ არის საფუძველი იმისა, რომ ის ციხეში იჯდეს, თუ ეს ვინმეს პირადი ინტერესი არ არის. პროკურატურაშიც არის საუბარი იმაზე, რომ როდესაც მოეწერება ხელი, მერე აქტიურად ვისაუბრებთ საპროცესო შეთანხმებაზე, რადგან მაია რჩეულიშვილს აღარაფერი დარჩება, გარდა პირადი საკუთრებისა, სადაც იცხოვრებს ის და პირადი ჯანმრთელობისა. იცით, თუ როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

***– ამჟამად როგორ გრძნობს თავს?***

– ის ისევე რჩება ციხის საავადმყოფოში და ყოველდღიურად გადის მედიკამენტურ მკურნალობას. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნამდვილად არ არის დამაკმაყოფილებელი და სახარბიელო. ამიტომ ერთ-ერთ მთავარ საკითხად ჩვენი მხრიდან ეს დგას, რომ როდესაც ყველაფერი გადაეცემა ახალ კომპანიას და ის ჩაენაცვლება ცენტრ პოინტს, მაია რჩეულიშვილმა და რუსუდან კერვალიშვილმა უნდა დატოვონ საპყრობილე საპროცესო შეთანხმების საფუძველზე.

***– ანუ რჩეულიშვილების ოჯახი ბიზნესის გარეშე რჩება?***

– სამომავლოდ რას გეგმავენ და რა იქნება, არავინ იცის. როდესაც გარეთ გამოვლენ, გაუმჯობესდება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, თავად გადაწყვეტენ, რა უნდა ქნან. მაია რჩეულიშვილი იმდენად კარგი ბიზნესმენი და კარგი მმართველი იყო, არა მგონია, მთელი ცხოვრება სახლში გაატაროს.

***– მათი დაკავების შემდეგ მოიძებნა ინვესტორი თუ მანამდეც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები?***

– არა, მანამდე არ იყო. სულ რაღაც რამდენიმე თვეა, რაც დაიწყო საუბარი და ახლა უკვე ბოლო ფაზაში ვართ. მერწმუნეთ, ძალიან კარგი ინვესტორია. მაია რჩეულიშვილის ოჯახმა ძალიან დიდი რაოდენობის უძრავი ქონება გადასცა იმისთვის, რომ ეს პრობლემა მოგვარებულიყო.

***– ანუ თმობენ ყველაფერს?***

– ფაქტობრივად თმობენ ყველაფერს სწორედ იმისთვის, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს. რასაც ისინი თმობენ, საკმარისზე მეტიც არის პრობლემის მოსაგვარებლად.

***– რას იტყვით დაზარალებულების პოზიციაზე, გაქვთ მათთან კონტაქტი, საქმის კურსში არიან?***

– რასაკვირველია. ძალიან დიდი ნაწილი დადის ჩვენთან კომპანიაში და ისინიც მოუთმენლად ელიან ამ პროცესის დასასრულს. ელიან, რომ განახლდება მშენებლობები და მალე მიიღებენ საკუთრებაში იმ ქონებას, რომელიც შეიძინეს. შეიძლება ამდენ ათას ადამიანში რამდენიმე არის, რომელთა იდეაფიქსია, რომ მაინცდამაინც მაია რჩეულიშვილი იჯდეს ციხეში და არაფერი არ უნდათ. თუმცა ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაწილი ამით მოხარულია და ხელმოწერას ელიან.

* * *

„ახალი თაობა“ **გუკა რჩეულიშვილსაც** ესაუბრა.

***– გუკა, თქვე განაცხადეთ, რომ ცენტრ პოინტი გაიყიდა. იქნებ უფრო დეტალურად გვითხრათ, რა ხდება კომპანიასთან დაკავშირებით?***

– გეტყვით, რომ ეს არის ყველაზე ჩქარი გამოსავალი ამ პრობლემიდან გამოსვლის, როგორც დაზარალებულებისთვის, ასევე ჩვენთვის. აქედან გამომდინარე, ჩვენ ძალიან ბევრი რამ, ჩვენი დიდი ინტერესი დავთმეთ და გავასხვისეთ კომპანია.

***– ანუ უკვე გაიყიდა?***

– ჩვენ, როგორც გამყიდველმა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვიერი მოლაპარაკებები დამთავრებულია, ხოლო იურიდიულად ჯერ გაფორმებული არ არის.

***– ვინ არის მყიდველი?***

– რაც შეეხება მყიდველს, მე არ მაქვს უფლება დავასახელო, ეს მათი უფლებაა. ამ მომენტამდე ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია, მაგრამ დაახლოებით ორ კვირაში ყველაფერი საჯარო გახდება.

***– იმის თქმა მაინც თუ შეგიძლიათ, ეს უცხოური კომპანიაა თუ ქართული, საქართველოში მოღვაწე?***

– ეს არის საქართველოში მოღვაწე კომპანია.

***– რამდენად მოხერხდება, სრულად დაკმაყოფილდეს დაზარალებულების ინტერესები?***

– ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, რომ პირველ რიგში მოხდეს დაზარალებულების სრულად დაკმაყოფილება. სწორედ ამიტომ ვყიდით კომპანიას.

***– ამ ფონზე რამდენად დაიწყება საპროცესო შეთანხმებაზე საუბარი პროკურატურასთან, გაქვთ იმედი?***

– პროკურატურას როცა გარანტირებულად ექნება ყველა საკითხი დასაბუთებული, ალბათ უკვე დაიწყება საპროცესოზე საუბარი. პროკურატურა გარანტიებს ელოდება.



გუკა რჩეულიშვილი: „პრობლემების მოსაგვარებლად ყველაფერი დავთმეთ“

***– სრულად დათმეთ ბიზნესი?***

– დიახ, სრულად გავასხვისეთ ცენტრ პოინტ ჯგუფი და ჯგუფის შვილობილი კომპანიები. ჩვენ დავთმეთ ყველაფერი, რათა დღესვე მოგვარებულიყო ეს პრობლემა, რომელიც დღეს ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია. მე საუბარი მაქვს როგორც დაზარალებულების, ასევე ჩემი ოჯახის პირად პრობლემაზე.

***– ანუ არ შეიცვლება არაფერი, ცენტრ პოინტი გაყიდულია?***

– წესით, არაფერი შეიცვლება, ცენტრ პოინტი გაყიდულია.

# „ირან-საქართველოს შორის საბანკო ტრანზაქციებზე ალტერნატიული გზები უნდა ვიპოვოთ“

ირან-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალურმა დირექტორმა რაჰიმ აბაჩიმ ორ ქვეყანას შორის არსებულ სავაჭრო ურთიერთობებსა და გამოწვევებზე რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „პროფესიონალები“ ისაუბრა. მისი თქმით, სავიზო რეჟიმის გაუქმება პოზიტიურად აისახა და ირანიდან საქართველოში შემოსული ტურისტების რაოდენობას გაიზარდა.

– სავიზო რეჟიმის პირობებში ირანელ ბიზნესმენებს ან ინვესტორებს აქ ჩამოსვლის და ბიზნესის კეთების პრობლემები ჰქონდათ. დღეს სავიზო რეჟიმი გაუქმდა, რაც შედეგებზე უკვე აისახა – ბევრი ირანელი ტურისტი ჩამოდის და მათი რაოდენობა მუდმივად იზრდება. ამასთან, ირანელი ბიზნესმენების მხრიდან ძალიან დიდი ინტერესია ტურიზმის დარგში, რადგან ტურიზმში შემოსავალი არის ძალიან რეალური. სხვადასხვა ბარი, რესტორანი და სასტუმრო გაქირავებულია ირანელ ბიზნესმენზე და მათი რაოდენობა 2016 წლიდან კიდევ უფრო გაიზარდა, – ამბობს რაჰიმ აბაჩი.

მისივე თქმით, ირანელები სოფლის მეურნეობითაც არიან დაინტერესებული, თუმცა მიწის შესახებ ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ ბევრი პროექტი შეჩერდა.

– ირანის მოქალაქეებს ბევრი შესაძლებლობები აქვთ სოფლის მეურნეობის მიმართულებით. მიწის შესახებ კანონის ამუშავებამდე მათ მიწები იყიდეს და ამუშავებენ კიდეც. მიწების ან უძრავი ქონების ყიდვასთან დაკავშირებით ირანელებს ყოველთვის დიდი ინტერესი ჰქონდათ და ახლაც



აქვთ. თუმცა მიწის უცხოელებზე გასხვისების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ეს პროცესი გააჩერა. ჩვენ უკვე მოგვმართა რამდენიმე ბიზნესმენმა, რომლებსაც სურდათ მიწის ყიდვა და ცხვრის ბიზნესის დაწყება, საძოვრების გაკეთება, მაგრამ ახლა ვერაფერს ვერ აკეთებენ. მიწის შესახებ ახალი კანონის შემდეგ ირანელმა ბიზნესმენმა საქართველოში ბევრი პროექტი შეაჩერეს, – აცხადებს რაჰიმ აბაჩი.

აბაჩის განმარტებითვე, „ირანულ ინვესტიციებს ქვეყანაში უფრო დიდი პოტენციალი აქვთ, თუმცა ეს საბანკო სექტორში არსებული პრობლემების გამო ვერ ხერხდება“.

– ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი არის ის, რომ არ არსებობს პირდაპირი საბანკო გადარიცხვები, იმისთვის, რომ მსხვილი კაპიტალი შემოვიდეს, აუცილებელია პირდაპირი თანამშრომლობა, გადარიცხვები, ტრანზაქციები და ა.შ. ძალიან ბევრმა კომპანიამ მომართა ჩვენს პალატას, რომლებსაც უნდოდათ აქ ბიზნესის დაწყება, მაგრამ ვერ მოხერხდა. სამწუხაროდ, აქამდე კონკრეტული პასუხი არ მიგვილია მთავრობისგან. ჩვენ გვესმის, რომ ეს პრობლემა საერთაშორისო სისტემიდან მოდის, მაგრამ ჩვენი ურთიერთობებიდან გამომდინარე რაღაც ალტერნატიული გზები უნდა ვიპოვოთ, – ამბობს ირან-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რატომ ფიქრობს ეს პატარა ბიჭი, ირაკლი კობახიძე, რომ პრეზიდენტს ჭკუით მოატყუებს?“

## სოსო ცინცაძე: „თუ საკონსტიტუციო ცვლილებებს პრეზიდენტი ვეტოს დაადებს, ეს იქნება მე-10 ვეტო და ეს იქნება მისი მე-10 გამარჯვება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს აფასებს.

***– ბატონო სოსო, როგორ შეაფასებთ საკონსტიტუციო ცვლილების პროცესს?***

– შედარებისთვის, საინტერესოა, რას ვიღებთ სტანდარტად: ცივილიზებული სამყაროს, ევროპის ან ამერიკის სტანდარტს ვედრებით თუ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჩარჩენილ ქვეყნებს. თუ ევროპას ვედრებით ან ამერიკას, მაშინ საქმე გვაქვს, რბილად რომ ვთქვა, არასოლიდურობასთან.

პარლამენტი იღებს კონსტიტუციას და პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ლამის პირველი და უკანასკნელი კონსტიტუცია მივიღეთ, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ცვლილებებს გვთავაზობს, თანაც სხვისი, პრეზიდენტის ხელით.

***– გულისხმობთ შეთავაზებას, მხოლოდ ორ საკითხს დაადოს ვეტო?***

– დიახ, რაც პრეზიდენტისთვის შეურაცხმყოფელია. რა, მისი შეცდომა პრეზიდენტმა უნდა გამოასწოროს?! კობახიძეს პრეზიდენტმა უნდა „გაუპრავოს“ ის, რაც მთელმა ქვეყანამ დაგმო?! კობახიძეს თავი სოკრატე ჰგონია, პრეზიდენტი კი – ბომჟი, გაუნათლებელი?! რატომ ფიქრობს ეს პატარა ბიჭი, რომ ჭკუით მოატყუებს პრეზიდენტს? ეს თავხედობაა. კობახიძემ თავისი მოკლე ჭკუით ხაფანგი დაუგო პრეზიდენტს. ეჭვი არ მეპარება, რომ პრეზიდენტი ამ წინადადებას უარყოფს და ვეტოს დაადებს. თავის პრინციპულ პოლიტიკას ბოლომდე მიიყვანს. საკონსტიტუციო კომისია როდესაც შეიქმნა, პრეზიდენტმა თავისი პრინციპული შენიშვნები გამოთქვა.

***– თავმჯდომარეობის სურვილი გამოთქვა.***

– პრეზიდენტს აქვს პოლიტიკური ჰიგიენის გრძნობა, ამიტომ გაემიჯნა პროცესს, თუმცა შენიშვნებს, რჩევებს აძლევდა კორექტულ ფორმებში. ის ტალახი, რომელსაც მარგველაშვილს ესროდნენ, ათმაგად დაუბრუნდა პარლამენტს. პრეზიდენტს თავიდანვე ჰქონდა პრინციპული პოზიცია და ბოლომდე მიჰყვება მას. მისი ბრალი არ არის, თუ ხელთ ბერკეტები არ აქვს და უფრო



ქმედითი ვერ არის. მიუხედავად იმისა, რომ მას ძალზე მოკრძალებული უფლებები აქვს, მარგველაშვილმა მორალურ-ზნეობრივი დუელი მოუგო მთელ პარლამენტს და პირველ რიგში – კობახიძეს.

აქ არ არის საუბარი მხოლოდ ხელების გადაგრეხასა და ადმინისტრაციულ რესურსზე, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის მხარეს არის. პრეზიდენტმა სრულად გამოიყენა ის მორალური და ზნეობრივი უპირატესობა, რომელიც მას გააჩნდა.

***– რამდენად არის სარწმუნო, რომ 2024 წელს პროპორციული საარჩევნო სისტემა ამოქმედდება?***

– ამ ყველაფრის შემდეგ არცერთი პარტია, რომელიც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, აღარ გააუქმებს არსებულ შერეულ სისტემას და არ გადავა პროპორციულ სისტემაზე.

***– დაპირება?***

– სულ რაღაც ხუთი თვის წინ დედას იფიცებდნენ, ვაუქმებთო, მაგრამ არ გააუქმეს. კიდევ მოიგონებენ ათას მიზეზს. მიზეზებს რა დალევს. კიდევ გამოვა კობახიძე ან სხვა და გვეტყვის: რა ვქნათ, ჩვენ კი გვქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მაჟორიტარები აგვიჯანყდნენ და ვერ მივაღწიეთ შეთანხმებასო.

***– თავის დროზე ამომრჩეველი მოატყუეს?***

– არა, მე გულწრფელად მჯერა, რომ თავიდან, როდესაც ივანიშვილი მარგველაშვილთან, უსუფაშვილთან ერთად გვპირდებოდა, გავიმარჯვებთ და მაჟორიტარულ სისტემას გავაუქმებთო, მათ ეს ნამდვილად სჯეროდათ, გულწრფელად ამბობდნენ ამას, ისევე, როგორც გულწრფელად გვპირდებოდნენ ტარიფების განახევრებას, საწვავზე ფასების დაკლებას, ყველა ამ მანკიერების აღმოფხვრას, მაგრამ მოვიდნენ ხელისუფლებაში და ნახეს, რომ ვერაფერი გაკეთდება.

ობიექტურად არ შეიძლებოდა არც ტარიფების განახევრება და არც ბენზინზე ფასის დაკლება. ყველაზე მთავარი – არ შეიძლებოდა იმ ტოტის მოჭრა, რომელზე ჯდომასაც აპირებდნენ. ვგულისხმობ ბიუროკრატიულ აპარატს.

***– რეალური პოლიტიკა სხვა აღმოჩნდა?***

– რასაკვირველია. ყოველთვის ასეა, სანამ საკუთარი თვალით არ ნახავ, მანამდე წარმოდგენები არ არის რეალური, თანაც პოლიტიკისთვის გამოუცდელი იყვნენ.

***– უსუფაშვილი ხომ არ იყო გამოუცდელი?***

– გეთანხმებით, თუმცა ხელისუფლების აღება და მართვა მაინც სხვაა, მას გამოცდილება სჭირდება. მე, მაგალითად, არასდროს დამიმალავს ჩემი პირადი პატივისცემა რესპუბლიკელების მიმართ. თავის დროზე ეს იყო ერთადერთი ინტელექტუალური პარტია, ლიდერების პარტია, თუმცა კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმომედგინა, რომ რესპუბლიკელები სამი წელი, მეტიც, აიტანდნენ თავიანთი თანაგუნდელების სისულელეებს, მაგრამ აიტანეს. უსუფაშვილმა გვიან გაიღვიძა, ამიტომ, რაც დაემართათ, კანონზომიერი იყო.

***– პრეზიდენტის ვეტოს მოლოდინშია ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა, თუმცა მას საპარლამენტო უმრავლესობა ამჯერადაც გადალახავს. ჩვენ ერთ-ერთ ინტერვიუში ვისაუბრეთ, თუ რა ძალა აქვს პრეზიდენტის ვეტოს. ეს არის პოლიტიკური აქტი?***

– რასაკვირველია, პირველ რიგში, ეს არის პოლიტიკური აქტი, რომელსაც დიდი ძალა აქვს. თუ საკონსტიტუციო ცვლილებებს პრეზიდენტი ვეტოს დაადებს, ეს იქნება მე-10 ვეტო და ეს იქნება მისი მე-10 გამარჯვება. ცხადია, მე მორალურ გამარჯვებაზე ვსაუბრობ, მის პირად პოლიტიკურ გამარჯვებაზე და არა ქვეყნის გამარჯვებაზე. ყველა ვეტოს დაძლევა არის პიროსის გამარჯვება. არასდროს დამავიწყდება ერთ-ერთი მოწვევის დეპუტატის, მაია ნადირაძის ირონიული ღიმილი, „ჩვენ ბევრნი ვართ!“ ეს იყო პირდაპირ განაცხადი – „ძალა მაქვს, ჭკუა არ მჭირდება!“ ის ამას ამბობდა, ეს პარლამენტი არ ამბობს, მაგრამ ამ დევიზით მოქმედებს. როგორ ვფიქრობდი, რომ ასეთი აზროვნება წარსულს ჩაბარდა, რომ ეს უკან მოვიტოვეთ, მაგრამ – არა.

არც უსუფაშვილს ეყო ჭკუა და არც კობახიძეს, რომ ზრდილობის გულისთვის მაინც განეხილათ პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები და შემდეგ დაეძლიათ. ორივე მოწვევის პარლამენტი გაება ამ ხაფანგში კომკავშირული ენთუზიაზმით. ამაყად გვეტყვიან ხოლმე, ვეტო დაძლეულიაო, მაგრამ, ამავდროულად, დაძლეულია პარლამენტის პრესტიჟიც.

მახსოვს ზვიადის პარლამენტი, რომელსაც პრესტიჟი ნული ჰქონდა, მაგრამ ავტორიტეტი ჰქონდა გამსახურდიას. ასევე იყო შევარდნაძის პარლამენტიც, როგორც მიშას პარლამენტი, მაგრამ ამ მოწვევის პარლამენტმა რეკორდი მოხსნა უნდობლობის რეიტინგის თვალსაზრისით. განა ევროპაში, ამერიკაში არ ძლევენ ვეტოს? ამაზე მეტი რა მინახავს, მაგრამ განხილვებია, დებატებია, რომლებიც დღეები გრძელდება, კონსულტაციები იმართება. ეს უძღვის წინ ვეტოს დაძლევას და არა უმრავლესობის წარმომადგენლების ცინიკური განცხადებები.

# ქართველი მილიარდერი, ანზორ კიკალიშვილი, ანაკლიაში მიწის სანაცვლოდ 6 მილიონს ითხოვს

რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენი, მილიარდერი ანზორ კიკალიშვილი, მოქმედი ხელისუფლებისგან ანაკლიაში 20.000 ჰა მიწის ნაკვეთის დაბრუნებას ელოდება, რომელიც წინა მთავრობის პერიოდში სახელმწიფოს სასარგებლოდ დაათმობინეს. ამის შესახებ „საქმის კურსს“ კიკალიშვილის ბიძამ და მინდობილმა პირმა გურამ თირქიამ განუცხადა.

საქმე ის არის, რომ 20.000 ჰა მიწის ფართობი იმ ადგილასაა, სადაც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი უნდა აშენდეს.

რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენის ბიძა აცხადებს, რომ როგორც კანონმორჩილმა ადამიანმა საკუთარი სახლ-კარი უკვე დატოვა და კომპენსაციის სახით 400 ათას 700 ლარიც მიიღო, მაგრამ ამ დრომდე ელოდება 20.000 ჰა მიწის ფართობის დაბრუნებას, რომელიც 2010 წელს ძალით დაათმობინეს.

– 2003 წელს, როდესაც ვიღაცები „ჯიპებს“ ყიდულობდნენ, მე ვთხოვე ჩემს დისშვილს (ანზორ კიკალიშვილი – რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი) და მიწები ვაყიდვინე; საჯარო რეესტრშიც დავარეგისტრირე, ვიფიქრე, ერთ მშვენიერ დღეს ანაკლიის ზღვის პირას რაღაც იქნება-მეთქი. 2010 წელს სამეგრელოს ყოფილმა გუბერნატორმა ზაზა გოროზიამ და კიდევ სხვა პირებმა პროკურატურაში დამიბარეს და 1 ჰა-ის ჩუქება მომთხოვეს. ავუხსენი, რომ ეს მათი საკუთრება არ იყო და ვერც მე ვაჩუქებდი, რადგან მინდობილი პირი ვიყავი. შემდეგ მითხრეს, 5-დან 10 წლამდე ციხე გელოდება ან ხელი მოაწერე საბუთებს, რომ მიწა სახელმწიფოს გადაეციო. ასე წაართვეს კეთილსინდისიერად ნაყიდი ქონება. 45.000 ლარი მარტო მიწის გადასახადის სახით მაქვს გადახდილი და ამის დამადასტურებელი საბუთიც მაქვს. თუ ჩემი არ იყო მიწა, მაშინ რატომ მახდევინებდნენ?! – აცხადებს გურამ თირქია.

კიკალიშვილის ბიძას დღეს უკვე პრეტენზიები მოქმედ ხელისუფლებასთან აქვს და ელოდება, რომ „სამართლიანობა არჩევნებამდე აღდგება“.

– არ მეგონა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კუთვნილი მიწების დაბრუნება ასე გამიჭირდებოდა. მთელმა საქართველომ იცის, როგორ წაართვეს. არ მინდა კიდევ ბევრი რამე ვთქვა, ჯერჯერობით ველოდები; თუ დავრწმუნდები, რომ არაფერი გამოდის, მერე სხვა გზებს ვნახავ. არჩევნებამდე უნდა მორჩეს ეს ამბავი. „ამაზე მუშაობა მიდის და მე მგონი, თქვენ სასიკეთოდ გადაწყდებაო“. ასე მითხრეს ეკონომიკის სამინისტროში, – აღნიშნავს თირქია.

ქართველი მილიარდერის ბიძამ იცის, რომ „სამართლიანობის აღდგენის“ შემთხვევაში 20.000 ჰა მიწის ღირებულება 6 მლნ ლარია, რისი გადახდაც სახელმწიფოს კომპენსაციის სახით მოუწევს.

– სახლ-კარი დავტოვე და ახლა მოპირდაპირე მხარეს კაფეში ვცხოვრობთ. ოჯახში 7 წევრი ვართ. არსად წასვლას არ ვაპირებ. ველოდები. არ მინდა ვიფიქრო, რომ ხელისუფლება ნაქურდალ-ნაყაჩაღარს აფარებს ხელს, – აცხადებს გურამ თირქია.

* * *

ცნობისთვის: ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისა და განვითარების პროექტის განხორციელებისთვის სახელმწიფოს მიერ კერძო მესაკუთრეებისგან გამოსყიდული ქონების სანაცვლოდ გადახდილმა კომპენსაციამ 56.047.307.08 ლარი შეადგინა.

როგორც „საქმის კურსს“ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, პირველი ფაზის ფარგლებში დაგეგმილი ქონებების გამოსყიდვა დასრულებულია. მისივე ინფორმაციით, ჯამში, გამოსყიდულია 402 ერთეული ქონება და მათ შორის არის საცხოვრებელი სახლები და მიწის ნაკვეთები.

**ბიზნესმედია**



# ამირან გამყრელიძე: „მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ცხოველი დაგკბენთ. სამედიცინო დაწესებულებას დროულად მიმართეთ“

– მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ცხოველი დაგკბენთ, სამედიცინო დაწესებულებას დროულად მიმართეთ 2015 წლიდან დღემდე, საქართველოში ადამიანის ცოფით დაავადების შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.




მისი თქმით, ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ კომპლექსურად გატარებული ღონისძიებების შედეგად, გარკვეული დადებითი შედეგები არსებობს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამირან გამყრელიძე მოსახლეობას მიმართავს, რომ ვინაიდან მედიცინა ცოფთან უძლურია, ცხოველის მიერ დაკბენის შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულებას დაუყოვნებლივ მიმართონ.

„დაკბენილ ადამიანთა 80% მოდის ე.წ. პატრონიან ცხოველებზე, ამიტომ მივმართავ მოსახლეობას, კატა იქნება თუ ძაღლი, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ცხოველი დაგკბენთ, სამედიცინო დაწესებულებას დროულად მიმართეთ. ამ დროს შანსი ნაკლებია, რომ დაკბენის შემდეგ ადამიანი ცოფით დაავადდეს. ქვეყანაში საკმარისი მარაგი არსებობს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის. ცოფთან „თამაში“ არ შეიძლება. ხაზს ვუსვამ, რომ ეს არის ისეთი დაავადება , რომლის განვითარების შემთხვევაში მედიცინა მის წინააღმდეგ უძლურია. ამიტომ, დაავადების თავიდან ასაცილებლად მიმართეთ ექიმს. არსებობს ძალიან ეფექტური და თითქმის, 100%-იანი დაცვის საშუალება. დაკბენის შემთხვევაში თუ ადამიანი აიცრება, მაშინ ეს არის იმის მყარი გარანტია, რომ ცოფი არ განვითარდეს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილის დემნა ხელაიას განცხადებით, 2013 წლიდან ქვეყანაში ცოფის პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა ხორციელდება, რომლის თანახმადაც სურსათის ეროვნული სააგენტო მთელი ქვეყნის მასშტაბით შინაური ცხოველების მასობრივ ვაქცინაციას ატარებს, ძირითადად კი – ძაღლებისა და კატების.

– მე მოვუწოდებ მოსახლეობას, რომ ამ პროგრამით ისარგებლონ და ჩაუტარონ თავიან ცხოველებს პროფილაქტიკური ვაქცინაცია, რაც იმის გარანტიაა, რომ ცოფი ცხოველებში არ გავრცელდება. გარდა ამისა, ყოველწლიურად ვიძენთ იმ რაოდენობის ვაქცინას, რომელიც ცოფის პროფილაქტიკისთვის საკმარისია. ვაქცინაცია უფასოა, ვაქცინა კი ჩეხური წარმოებისაა. ყოველწლიურად ვატარებთ მის გამოცდას. გარდა ამისა, ჩვენ წელს საპილოტედ ავირჩიეთ მოსწავლე-ახალგაზრდობა, დავდივართ სკოლებში და მოსწავლეებს ვუხსნით, თუ როგორ უნდა მოუარონ შინაურ ცხოველებს და რა უნდა მოიმოქმედონ ცოფის თავიდან ასაცილებლად. მოვუწოდებ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც სახლში შინაური ცხოველები ჰყავთ, უნდა მიმართონ სახელმწიფო ვეტერინარულ სამსახურს და წელიწადში ერთხელ ცხოველებს ვაქცინაცია ჩაუტარონ, – განაცხადა დემნა ხელაიამ.

# მიტინგის მონაწილეებმა სოხუმში რუსეთისა და ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტებს მოშიმშილის გადარჩენა მოსთხოვეს

## რა გამოიწვევს დიდ მღელვარებას რუსეთის სამხრეთში

მარიამ მჭედლიშვილი

სექტემბრის ბოლოს ოკუპირებულ აფხაზეთში, ტრადიციულად, ომში გამარჯვებას რამდენჯერმე აღნიშნავენ. 27 სექტემბერს დიდების პარკში გამართული მიტინგი საზეიმო ხასიათს არ ატარებდა და განსხვავებულ თემას მიეძღვნა.

შეკრებილებმა თანადგომა გამოუცხადეს ჩერქეზ-შაპსუღების უხუცესთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, მოშიმშილე რუსლან გვაშევს და მოითხოვეს მისი გადარჩენა.

სოჭში მცხოვრები რუსლან გვაშევი 11 სექტემბრიდან შიმშილობს. იგი აპროტესტებს სოჭის ლაზარეს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამ სასამართლომ გვაშევს ივლისში 10.000 რუბლის ჯარიმა დააკისრა და ბრალად დასდო უსანქციო ღონისძიების მოწყობა.

უხუცესი პირი დაადანაშაულეს იმაში, რასაც იგი 30 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში აკეთებდა. 21 მაისს მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში აღინიშნება კავკასიის ომში დაღუპულების ხსოვნის დღე. ამ დღეს სოჭელი შაპსუღები მიდიან ტიტების ხესთან, რომელიც მაგნოლიის ერთ-ერთი სახეობაა და იქ დაღუპულების სულების მოსახსენიებლად ლოცვას აღავლენენ.

პანაშვიდი ხესთან ყოველთვის ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად ტარდება.



სუნიტი შაპსუღები ადიღეელების ტომს მიეკუთვნებიან და ჩერქეზების შთამომავლები არიან. აფხაზეთში მათ ნათესავებად მიიჩნევენ.

კრასნოდარის სამხარეო სასამართლომ გვაშევის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გააუქმა და საქმე რაიონულ სასამართლოს დაუბრუნა. მიუხედავად ამისა, სოჭის რაიონულმა სასამართლომ ძველი განაჩენი ძალაში დატოვა. ამის გამო გამტყუნებულმა უხუცესმა შიმშილობის აქცია წამოიწყო.

სოხუმის მიტინგის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გვაშევი სრულიად უდანაშაულოა. იგი შიმშილობის შეწყვეტას მანამდე არ აპირებს, ვიდრე მისი რეაბილიტაცია არ მოხდება.

სოხუმის მიტინგში მონაწილეობა მიიღო თურქეთში ჩერქეზთა თანამეგობრობის ხელმძღვანელის მოადგილე ეროლ თაიმაზმა, რომელიც აცხადებს, რომ მიტინგს შემთხვევით შეესწრო:

– ჩამოვედით იმისთვის, რომ გვეზეიმა ომში გამარჯვების დღე, რომელიც 30 სექტემბერს აღინიშნება. გავიგეთ, რომ რუსლან გვაშევის მხარდასაჭერი აქცია ტარდებოდა და შემოვუერთდით.

მომიტინგეებმა მოითხოვეს მოშიმშილის სრული რეაბილიტაცია და სოჭის მიმდებარედ მცხოვრები ძირძველი მოსახლეობის, შაპსუღების უფლებების დაცვა.

შეკრებილებმა მიმართეს რუსეთის პრეზიდენტსა და აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ლიდერს.

– ვითხოვთ ზომების მიღებას შავი ზღვისპირეთში მცხოვრები ადიღე-შაპსუღების ინტერესების დასაცავად. მათ უნდა დარჩეთ უფლება, 21 მაისს გამართონ ხსოვნის ღონისძიებები. გთხოვთ, შეუნარჩუნოთ სიცოცხლე აფხაზეთისა და რუსეთის პატრიოტ რუსლან გვაშევს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს, – მოუწოდეს პუტინსა და ხაჯიმბას მომიტინგეებმა.

ჩერქეზული სათვისტომოები ადიღეაში, ყაბარდო-ბალყარეთსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთში წუხილს გამოთქვამენ გვაშევის გამო, მაგრამ საჯაროდ აზრის გამოთქმას ხელისუფლების შიშით ვერ ბედავენ.

შეკრებილები აცხადებენ, რომ მოშიმშილის სიცოცხლე საფრთხეშია და მისი დაღუპვა რუსეთის სამხრეთში დიდ მღელვარებას გამოიწვევს. გვაშევის მიმართ სოლიდარობა გაგრძელდება აფხაზეთში, სადაც მას თავისიანად თვლიან.

# მზია წიკლაური: „შატილი სასაზღვრო სოფელია და არ უნდა დაიცალოს!“

მზია წიკლაური პირიქითა ხევსურეთში მეუღლესთან ერთად დასახლდა. საბჭოთა დრო იყო, კომკავშირული ქორწილი გადაუხადეს – „ახალგაზრდა ოჯახი მთაში ბრუნდება!“ მას აქეთ 34 წელია, ზამთარ-ზაფხულ შატილში ცხოვრობს. საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებელია. მაღალმთიან რეგიონში რომ ცხოვრობს, ხელფასთან ერთად მცირე დანამატსაც იღებს, ჯამში დაახლოებით – 600 ლარს, თუმცა, როგორც თავად ამბობს, საოჯახო სასტუმრო და საკუთარი მეურნეობა რომ არ ჰქონდეს, თანხა არაფერში ეყოფოდა.

მზია წიკლაურის, ისევე, როგორც მისი თანასოფლელების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა დაურეგისტრირებელი სახლები და კარ-მიდამოა. ამის გამო მთაში მცხოვრები პირის სტატუსს ვერ იღებენ. მიუხედავად ამისა, აქაურებს ყველაზე მეტად მაინც უშუქობა აწუხებთ.



მცირე ჰესი ხშირად ფუჭდება და ელექტროენერგიის გარეშე ხან რამდენიმე დღე, ზოგჯერ კი მთელი თვეც რჩებიან. უშუქობა საქმესაც ვნებს – ბუნებრივი აირი შატილში არასდროს ჰქონიათ, ამიტომაც, საოჯახო სასტუმროების ფუნქციონირება დენზეა დამოკიდებული.

56 წლის მზია წიკლაური წარმოშობით არხოტის თემიდანაა, თუმცა დედოფლისწყაროში დაიბადა და გაიზარდა – მისი ოჯახი 60-იან წლებში გადაასახლეს. მეუღლე – ირაკლი ჭინჭარაული 2000 წელს გარდაეცვალა. სამი ქალიშვილი ჰყავს, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ.

ყოველდღე უთენია დგება. ძროხას წველის, ყველი ამოჰყავს, ფუტკარს უვლის. სტუმრები თუ ჰყავს, მათ ემსახურება, საუზმეს უმზადებს.

საოჯახო სასტუმრო, ოთხი ორსაწოლიანი ოთახითა და ორი სველი წერტილით, საკუთარი სახსრებით მოაწყო. 40 ათას ლარამდე დაუჯდა. შენობის გადახურვაში დაცული ტერიტორიების სააგენტო დაეხმარა. სასტუმრო „მზიანში“ ყველაზე დატვირთული პერიოდი ივლისი-სექტემბერია. ტურისტები ჩამოდიან ისრაელიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, აშშ-დან, კანადიდან, იაპონიიდან, ჩინეთიდან. „ყველანი ინტერნეტს ითხოვენ“, თუმცა შატილში ინტერნეტი არ აქვთ.

– 1983 წლიდან აქ ვცხოვრობ და ერთადერთი, რაც შეიცვალა, ისაა, რომ ტურისტი შემოვიდა. ტურისტი რომ არა, სასტუმროს აღარ გავაკეთებდი. მოთხოვნა გაჩნდა, სასტუმროების რაოდენობაც გაიზარდა. შემოსავლის მიღების შესაძლებლობამ ხალხიც დააბრუნა, მართალია, ზაფხულობით, მაგრამ მაინც! ინტერესი გაუჩნდა ხალხს, რომ კიდევ რაღაც გააკეთონ, – აცხადებს მზია წიკლაური.



მის ოჯახს საკუთარი კოშკიც აქვს. აღსადგენია. ფიქრობს, რომ კოშკში სასტუმროს მოწყობა მომგებიანი იქნება, თუმცა არ მოსწონს, როცა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე „ტურისტები ყირაზე გადადიან, თანაც კანალიზაციისა და წყლის შეყვანაც ცუდად მოქმედებს კოშკებზე, უნდა დავიცვათ!“

მზია წიკლაურის ოჯახის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო მეფუტკრეობაა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ 9-10 სკა ჰქონდა და გაყიდვასაც უპირებდა, თუმცა გადაიფიქრა, საქმე ისწავლა და დღეს 30 ძირი ფუტკარი ჰყავს. ზოგი სკა კარგად „მუშაობს“, ზოგი ნაკლებად. თითოდან დაახლოებით 20-25 კილოგრამი თაფლი ამოდის. პროდუქტს ადგილზევე ყიდის, კილოგრამს – 20 ლარად.

– პირველად მე მყავდა ფუტკარი. მერე სხვებმაც ჩათვალეს, ქალი თუ უვლის, ჩვენც მოვუვლითო და ახლა თითქმის ყველა ოჯახს ჰყავს ფუტკარი და გაჩნდა ინტერესიც.

სოფელში რთული პერიოდი ნოემბრიდან იწყება. უღელტეხილი იკეტება და მაისის ბოლომდე სამანქანო გზა არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ შატილში ბუნებრივი აირი არ აქვთ, ამ პერიოდში გარესამყაროს მოწყვეტილ სოფელში დარჩენილთათვის განსაკუთრებით მწვავედ უშუქობის საკითხი დგება.

– ჰესის საქმე უნდა მოგვარდეს აუცილებლად. გასულ ზამთარს წყალი არ ჰყოფნიდა, მერე მდინარე ადიდდა, ქვა-ღორღი მოიყოლა და რაღაცა გადაწვა.

საბჭოთა პერიოდში აგებული შატილის ჰესი ამორტიზებულია. გაფუჭდება – შეაკეთებენ, თუმცა გავა 3-4 დღე და კვლავ ფუჭდება.

– მოვლენ, გააკეთებენ და წასულები არ არიან, ისევ გასაკეთებელი ხდება, – ამბობენ ადგილობრივები. ჰესის მიმართ მათი დამოკიდებულება ყველაზე უკეთ რკინის კარზე გაკეთებული წარწერით ჩანს – „შატილის უნამუსო გესი!“

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მზია წიკლაურსა და მის თანასოფლელებს აწუხებთ, დაურეგისტრირებელი სახლი და კარ-მიდამოა. ამის გამო მთაში მცხოვრები პირის სტატუსს ვერ იღებენ.

– დღესდღეობით 5-6 ოჯახი რჩება აქ ზამთრის პერიოდში. სახელმწიფომ მიზანმიმართული პროექტები თუ არ განახორციელა, ალბათ მთას არ ეშველება. მარტო კანონი საკმარისი არ არის!

წლის განმავლობაში ახლობლებსაა მოწყვეტილი – შვილები თბილისში ცხოვრობენ, ნათესავები ბარში არიან. თავისუფალ დროს უმეტესად სკოლაში, ბავშვებთან ერთად ატარებს – „სააღმზრდელო ჯგუფში ვარ მეცადინეობაზე და დროც გადის.“

– შატილში მოსახლეობის დამაგრებას სკოლა უწყობს ხელს. მაგ კუთხითაც სავალალო მდგომარეობა გვაქვს – სასკოლო ასაკის ბოლო ბავშვი მივიღეთ წელს. სამწუხარო იქნება, სკოლა თუ დაიხურა, ალბათ მოსახლეობაც დატოვებს სოფელს. არადა, შატილი სასაზღვრო სოფელია და არ უნდა დაიცალოს!

# „ბანკები ალტერნატიული ფულის წყაროს კლავენ“

სასესხო პროდუქტს, რომელიც ქართულ საფინანსო ბაზარზე ონლაინსესხების გამცემმა კომპანიებმა შემოიტანეს და რომელიც წლების განმავლობაში საკმაოდ წარმატებულადაც მუშაობდა, დღეს მომხმარებელს უკვე ქართული კომერციული ბანკებიც სთავაზობენ. საუბარია სწრაფ, მაღალპროცენტიან ონლაინსესხებზე.

კომერციული ბანკების ნაწილმა მომხმარებლისთვის სწრაფი სესხის შეთავაზება აქტიურად დაიწყო. სესხის დამტკიცება ხშირ შემთხვევაში წინასწარ ხდება, ზოგჯერ კი მომხმარებელს სპეციალური აპლიკაციის შევსება უწევს. სწრაფი სესხი ძირითადად 1.000 ლარამდე გაიცემა, სესხის დაფარვის ვადა კი ერთ წელიწადია. ასეთი კრედიტის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 81-96%-ის ფარგლებში მერყეობს. სესხის გაცემის საკომისიო საშუალოდ 50-60 ლარს შეადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში იფარება მხოლოდ პროცენტი, ერთი წლის შემდეგ კი კლიენტს ძირი თანხის გადახდის ვალდებულება აქვს.

გთავაზობთ ერთ-ერთი კომერციული ბანკის მიერ შეთავაზებულ პირობებს სწრაფ სესხზე:

სესხის მოცულობა 1.000 ლარი
გასატანი თანხის მოცულობა – 950 ლარი
კრედიტის საკომისიო – 50 ლარი
ყოველთვიური შენატანი – 50 ლარი
ვადაგადაცილების ყოველდღიური ჯარიმა – 4,1 ლარი
შენატანის ჯამური ოდენობა – 1.600 ლარი
სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 81,62%



აღსანიშნავია, რომ ყოველთვიურ შენატანში იგულისხმება მხოლოდ სესხით მომსახურების ყოველთვიური საკომისიო, სესხის ვადის ბოლოს შესატანი თანხა იანგარიშება სესხით მომსახურების ყოველთვიური საკომისიოს დამატებული ძირითადი თანხა.

ეს არის ერთი კომერციული ბანკის მაგალითი სესხის ერთ კონკრეტულ მოცულობაზე, სხვა ბანკებს წლიური საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალი აქვს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის 96%-მდეც კი ადის.

– კომერციულმა ბანკებმა რეალურად მიიღეს უკვე გამზადებული ბაზარი და გამზადებული პროდუქტი. იმისათვის, რომ ახალი პროდუქტი შეექმნათ, სპეციალური კვლევა უნდა ჩაეტარებინათ. ახლა ამ კვლევის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან აქვთ დროში გამოცდილი პროდუქტი. უბრალოდ, შეფუთეს და გამოუშვეს ბაზარზე, ანუ გაიიოლეს საქმე, – აცხადებს „კომერსანტთან“ საუბრისას ფინანსისტი ირაკლი ბერძენაძე.

მისივე თქმით, კომერციული ბანკები ბაზარზე პროდუქტის – სწრაფი ონლაინსესხის გამოტანით გადავიდნენ რისკიანი სესხების დაფინანსებაზე. ამით კი, ბერძენაძის თქმით, რეალურად ბანკი არაფერს კარგავს, რადგან ერთის მხრივ ის იბრუნებს კლიენტებს, რომლებსაც ჰქონდათ პარალელური სესხი და მუშაობს პრინციპით – „ჰქონდეს ვალი კლიენტს მხოლოდ მასთან“.

– ამით კომერციული ბანკი სწრაფი სესხების კომპანიებს არათუ კლიენტებს, არამედ უკვე ჯანსაღ პორტფელსართმევს. ონლაინსესხების კომპანიებს ჰქონდათ თავისი ჯანსაღი პორტფელი და ჰყავდათ კლიენტურა, რომელსაც უკვე ბანკი წაიყვანს და ბანკი მიიღებს სარგებელს ამ ყველაფრით. რეალურად, ბანკები ალტერნატიული ფულის წყაროს კლავენ, – განაცხადა ბერძენაძემ.

მისივე თქმით, აუცილებელია, რომ ამ პროცესში ეროვნული ბანკი ჩაერთოს.

– რეგულატორმა უნდა გაითვალისწინოს წვრილი გამსესხებელი კომპანიების ინტერესები და ბანკებს გარკვეული შეზღუდვა უნდა დაუწესოს თუნდაც საპროცენტო განაკვეთებზე, რადგან თუ ბანკიც და წვრილი გამსესხებელიც ერთ პროცენტში (მაღალში) გასცემს სესხს, მაშინ აქ უკვე კონკურენციაზე ფიქრი ზედმეტია, – განაცხადა ბერძენაძემ.

# დასაქმებული ღატაკების ქვეყანა

## საქართველოში დასაქმებული მოქალაქეების მხოლოდ 18,8%-ს აქვს თვეში 900 ლარი და უფრო მეტი შემოსავალი

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას სიღარიბე წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც 1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენი ქვეყანა ბევრი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, რასაც თან დაერთო ომები და მწვავე ეკონომიკური კრიზისი. 90-იანებიდან მოყოლებული, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ სიღარიბეში ცხოვრობს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, ამ მიმართულებით კვლავ რთული მდგომარეობაა. ასე მაგალითად, თუ 2004 წელს საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 32% იყო, 2016 წლისთვის ეს მაჩვენებელი 21%-მდე შემცირდა.

საინტერესოა, რომ ბოლო წლებში უმუშევრობის მაჩვენებელიც მცირდება, თუმცა დასაქმების ზრდა მოსახლეობის შემოსავლების მატებაზე არ ახდენს ჯეროვან ზეგავლენას. შედეგად არის შემთხვევები, როდესაც ვიღებთ სიტუაციას, რომ მოქალაქე ოფიციალურად ირიცხება დასაქმებულად, თუმცა, ამავდროულად, სიღარიბის ზღვარს მიღმაა და სახელმწიფოსგან გარკვეული სახის სოციალურ დახმარებას იღებს. ასეთი მდგომარეობის შექმნის ერთ-ერთ მიზეზად დასაქმების სტატისტიკა შეიძლება მივიჩნიოთ. ასე მაგალითად, „საქსტატის“ ოფიციალური ინფორმაციით, დასაქმებული ეს არის (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ, – აღნიშნულია „საქსტატის“ ვებგვერდზე დასაქმების დათვლის მეთოდოლოგიაში.

უფრო კონკრეტულად კი, დასაქმებულად ითვლება არა მხოლოდ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაქირავებით დასაქმებულია კერძო ან სახელმწიფო სექტორში და იღებს გასამრჯელოს ხელფასის სახით, აგრეთვე მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურის სახით) ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით ეწევა გარკვეულ საქმიანობას. ანუ, თვითდასაქმებულებიც უმუშევრობას ამცირებენ.

თვითდასაქმებულად კი ითვლება ადამიანი, რომელიც საკუთარ საწარმოში ან საკუთარ მეურნეობაში მუშაობს და გააჩნია საკუთარი შემოსავალი.

– შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის შესაბამისად, იმისათვის, რომ ადამიანი ჩაითვალოს დასაქმებულად, არ არის აუცილებელი, რომ მას ჰქონდეს ხანგრძლივადიანი შრომითი ხელშეკრულება ან დაქირავებული იყოს ვინმეს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ თვითდასაქმებულთა გარკვეული ნაწილის სოციალური მდგომარეობა სახარბიელო არ არის და შესაძლოა ისინი ეძებდნენ დამატებით სხვა სამსახურს, ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, თუ ადამიანი საკუთარი შრომით შემოსავალს იღებს ის დასაქმებულად უნდა ჩაითვალოს, – აღნიშნულია „საქსტატის“ ვებგვერდზე დასაქმების დათვლის მეთოდოლოგიაში.



თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია სოფლად, საკუთარ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობაში. მაგალითად, აქვს მიწის ნაკვეთი ან ჰყავს პირუტყვი, რომლიდან მიღებულ პროდუქციას იყენებს როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე გასაყიდად. ანუ, გასაგებ ენაზე, რომ ავხსნათ ადამიანი რომელიც სოფლად ცხოვრობს ითვლება დასაქმებულად, რადგან როგორც წესი სოფელში მიწის მცირე ნაკვეთი მაინც (დარეგისტრირებული თუ უბრალოდ სარგებლობაში) ყველას გააჩნია, შესაბამისად ეს მოქალაქეები თვითდასაქმებულებად ითვლებიან. ამას ოფიციალური სტატისტიკას მოწმობს, როდესაც ქალაქებში და განსაკუთრებით დედაქალაქში უმუშევრობა ბევრად მაღალია ვიდრე ნებისმიერ რეგიონში. ასე მაგალითად, 2016 წლის მონაცემებით თბილისში უმუშევრობის დონე 22%-ია, მაშინ როცა კახეთში 5,4%, ხოლო სამცხე-ჯავახეთში, გურიასა და მცხეთა მთიანეთში ერთად 4,1%. აქვე ინფორმაციისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 5%-იანი უმუშევრობა ძალიან კარგ მაჩვენებლად ითვლება, რადგან სრული დასაქმების მიღწევა ბუნებაში პრაქტიკულად შეუძლებელია.

დასაქმების ოფიციალური სტატისტიკას რომ ნაკლოვანებები გააჩნია ამას სიღარიბის მაჩვენებელიც ნათლად წარმოაჩენს. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში უმუშევრობა ყველაზე მაღალია რეგიონებში და ზოგადად ქალაქში დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი უარესია, ვიდრე სოფლად, სიღარიბის მაჩვენებელი აბსოლუტურად საპირისპიროა ანუ სოფლად სიღარიბე უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქად. თუ 2004 წელს საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 32% იყო (ქალაქი – 32%; სოფელი – 33%) 2016 წლისთვის ეს მაჩვენებელი 21%-მდე შემცირდა, თუმცა უმეტესწილად ქალაქად მდგომარეობის გამოსწორების შედეგად. ასე მაგალითად, გასულ წლის მონაცემებით სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი ქალაქად 16,9%-ს შეადგენდა, ხოლო სოფლად – 25%-ს.

ბოლო 12 წელიწადში მცირე გაუმჯობესება ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლის შემცირების კუთხითაც შეინიშნება. თუმცა სიღარიბის აბსოლუტურ მაჩვენებელთა შედარებით ამ კუთხით გაუმჯობესება ბევრად ნაკლებია. ასე მაგალითად, მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2004 წლიდან 2016 წლამდე 24,6%-დან 20,6%-მდე შემცირდა, ხოლო მედიანური მოხმარების 40%-ის ქვევით მყოფი მოქალაქეების წილი იმავე პერიოდში 10,9%-დან 7,1%-მდე შემცირდა.

რა თქმა უნდა, სიღარიბე უმეტესწილად გამოწვეულია უმუშევრობით, თუმცა ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს თვითდასაქმებულთა დაბალი შემოსავლები, რადგან როგორც მონაცემებიდან ჩანს რეგიონებში არსებული დაბალი უმუშევრობის მიუხედავად სოციალური ფონი კვლავ მძიმეა. ბოლო წლებში, სიღარიბის მაჩვენებლის გამოსწორება უმეტესწილად თბილისის ხარჯზე მოხდა, სადაც მიუხედავად 22%-იანი უმუშევრობისა სოციალური დახმარების მთხოვნელთა რიცხვი დაბალია, სხვა რეგიონებთან შედარებით.

დღესდღეობით ქვეყანაში ღარიბთა დაახლოებით 2/3 სოფლად ცხოვრობს. ქალაქ თბილისსა და სამცხე-ჯავახეთზე სოციალურად დაუცველი ოჯახების ყველაზე ნაკლები წილი მოდის, ხოლო შიდა ქართლზე – ყველაზე დიდი. ქალაქ თბილისში საარსებო შემწეობას პროცენტულად ყველაზე ნაკლები ოჯახი იღებს, სამცხე-ჯავახეთის შემდეგ, რომელთაც აჭარა და ქვემო ქართლი მოყვება. რეგისტრირებულ ღარიბთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ძირითადად, მთიან და ეკონომიკურად სუსტ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე, ასევე შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთზე.

მაგრამ თუ უფრო დეტალურად ჩავხედავთ, თითქმის ყველა რეგიონში როგორც სოციალური დახმარების მსურველთა ისე მიმღებთა რაოდენობა, ბევრად მაღალია სოფლად ვიდრე ქალაქად. მიუხედავად იმისა, რომ სოფლად მცხოვრებლები უმეტეს შემთხვევაში თვითდასაქმებულებად ითვლებიან, სოციალურ დახმარებას კვლავ ითხოვენ. ანუ, მათი შემოსავლები არ არის საკმარისი.

საყურადღებოა, რომ რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის მოსახლეობის 40% სოციალურ დახმარებას იღებს, მაშინ როცა ოფიციალური სტატისტიკით 2016 წლის მაჩვენებლებით ამ რეგიონში, რომელიც იმერეთთან ერთად ითვლება უმუშევრობა 10,8%-ის დონეზეა. იგივე პარადოქსული სიტუაცია გვაქვს შიდა ქართლის შემთხვევაშიც, სადაც მთელი მოსახლეობის 36%-ი ითხოვს დახმარებას, რომელთაგან 18,6% იღებს სოციალურ შემწეობას. დასაქმების სტატისტიკით კი შიდა ქართლში უმუშევრობა 9,2%-ია. ასეთი პარადოქსული სიტუაცია გვხვდება თითქმის ყველა რეგიონში, სადაც ბევრია დასაქმებული ღატაკები.

რაც შეეხება ოფიციალურ მაჩვენებლებს, ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2017 წლის დასაწყისის მდგომარეობით, საქართველოში შემოსავლების განაწილების კუთხით შემდეგი მდგომარეობაა:

ყოველთვიურად 900 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქეები და თვითდასაქმებულები – 1.154.000 მოქალაქე.

მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70.000-დან 100.000-მდეა – 102.000 მოქალაქე.

6-18 წლამდე მოზარდები – 503.000 მოქალაქე.

0-5 წლამდე ბავშვები; სტუდენტები; პენსიონერები; შშმ პირები; პედაგოგები; სოციალურად დაუცველები – 1.700.000-მდე მოქალაქე.

მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი წელიწადში 40.000 ლარზე მეტია – 32.000 მოქალაქე.

მოქალაქეები, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 900 ლარზე მეტია, მაგრამ წლიური შემოსავალი არ აღემატება 40.000 ლარს – 300.000 მოქალაქე.

საქართველოს მოსახლეობის სრულ ოდენობად აღებულია 3,791.000 პირი.

მოკლედ, რომ შევაფასოთ პროცენტულ ჭრილში, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 0,8%-ს აქვს წელიწადში 40.000 ლარზე მეტი შემოსავალი. ხოლო მოსახლეობის მხოლოდ 8,7%-ს გააჩნია ყოველთვიურად 900 ლარზე მეტი შემოსავალი. აქვე აღსანიშნავია, რომ 2017 წლის I კვარტალი მონაცემებით საქართველოში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 1.024 ლარია. ანუ, მოსახლეობის მხოლოდ 8,7%-ს აქვს საშუალოსთან ხელფასთან მიახლოებული და მასზე მაღალი შემოსავალი ყოველთვიურად. ხოლო თუ დასაქმებულთა რაოდენობას შევადარებთ, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ.

2016 წლის მონაცემებით, საქართველოში სულ 1.998 მილიონი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) არის, რომელთაგან დასაქმებულია 1.7633 მლნ კაცი, ხოლო უმუშევარი 235 ათასი მოქალაქე. გამოდის, რომ საქართველოში დასაქმებულთა მხოლოდ 18,8%-ს აქვს თვეში 900 და უფრო მეტი შემოსავალი ანუ დასაქმებული მოქალაქეები 4/5-ის შემოსავალი ქვეყნის საშუალო ხელფასზე ნაკლებია.

საქართველოში სიღარიბე, რომ მწვავე პრობლემაა ეს არავისთვის არის ახალი. ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი დაპირებაც სწორედ ინკლუზიური განვითარება, ანუ ქვეყნის ეკონომიკური ზრდისგან მიღებული სარგებელი საზოგადოების ყველა სოციალურ ფენას რომ მიიღოს. თუმცა, სტატისტიკაში არსებული ხარვეზები ზუსტი სურათს არ გვაძლევს და შესაბამისად არ ხდება საჭირო პოლიტიკის გატარებაც. დღეის მდგომარეობით მოსახლეობის 80% საშუალოზე დაბალ ფენას მიეკუთვნება, მათი შემოსავლების რანჟირებიდან გამომდინარე. ქვეყნის განვითარებისთვის როგორც ეკონომიკურად, ისე დემოკრატიული კუთხით აუცილებელია, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი სწორედ საშუალო ფენას შეადგენდეს. ადამიანი, რომლის მთავარი საზრუნავი მიმდინარე ხარჯებისთვის (საკვები, კომუნალურები და ა.შ.) საჭირო შემოსავლის შოვნაა, ვერ იფიქრებს ისეთ თემებზე, როგორიცაა თუნდაც გარემოს დაცვა, ჰაერის დაბინძურება, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ასე შემდეგ.

# „აფბა“: „ნავთობკომპანიები ისევ გვატყუებენ – კომპანიებს ერთი ლიტრი ბენზინი 1.74 ლარი უჯდებათ“

„აფბა“, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან, ასევე ბოლო პერიოდში საწვავზე ფასების მკვეთრი მატებისა და საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, აგრძელებს საწვავის ბაზრის კვლევას. როგორც „აფბას“ ვიცეპრეზიდენტი პაატა ბაირახტარი აცხადებს, მსოფლიო ბირჟებზე მართლაც არის ფასების მატების ტენდენცია, თუმცა ქართულ ბაზარზე მიმდინარე პროცესები მთლიანად არის აცდენილი საერთაშორისო ტენდენციებს.



– თუ ჩვენ ქრონოლოგიურად შევხედავთ პროცესების განვითარებას ვნახავთ, რომ ბარელზე ფასის მცირედით მატებისთანავე შეიცვალა ჩვენს საცალო ქსელშიც ფასები. ეს მაშინ როდესაც ბირჟებზე ფასების ცვლილებას გარკვეული პერიოდი სჭირდება იმისთვის, რომ ცვლილება „პლაცის“ ფასზე მაინც აისახოს, რომ არაფერი ვთქვათ საცალო ქსელზე. უფრო კონკრეტულად კი კომპანიებმა როდესაც მეორედ დააკორექტირეს ფასები, ეს იყო ამ თვის დასაწყისში, ამ მომენტისთვის მსოფლიოში ბარელის ფასი 4%-ით იყო გაზრდილ და ჩვენთან მყისიერად 7%-ზე მეტით გაიზარდა საწვავის ფასები.

თუმცა ნედლ ნავთობზე ფასების ტრენდი და „პლაცის“ ტრენდი მცირედით, მაგრამ მაინც არის განსხვავებული. ძირითადად სწორედ ამაზე დაყრდნობით აპელირებენ ნავთობკომპანიების წარმომადგენლებიც და ლობისტებიც, სწორედ ამიტომ მეტი სიზუსტისთვის უკანასკნელი ტენდენციები „პლაცის“ ფასიდან გამოვთვალეთ.

დღეს არსებული მდგომარეობით, ერთი ტონა ბენზინი 578 დოლარი ღირს, არსებული გაცვლითი კურსით თუ ვიანგარიშებთ, ერთი ტონა ბენზინის ფასი 1.433 ლარს შეადგენს, ამ თანხას ცხადია ემატება გაზრდილი აქციზის გადასახადი, დღგ და ტრანსპორტირების ხარჯები, რა ყველა კომპანიისთვის განსხვავებულია. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, დღეს ერთი ლიტრი ბენზინის საბითუმო ფასი 1.74 ლარს არ აღემატება. ეს მაშინ როდესაც საცალო ქსელში ერთი ლიტრი ბენზინის ფასი 2.45 ლარს აღწევს. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ საცალო ქსელში კომპანიებს დამატებითი ხარჯიც აქვთ, თუმცა როდესაც საცალო ქსელსა და საბითუმო ფასს, შორის რიგ შემთხვევებში, 0.71 ლარიანი სხვაობა გვხვდება, ძნელია რაიმე დამატებით ხარჯებს დავაბრალოთ.

რაც შეეხება სამომავლო ტენდენციებს, თუ დავაკვირდებით ბირჟებზე ბოლო თვეების ტენდენციებს, დავინახავთ, რომ ბაზარზე ადგილი ჰქონდა ჯანსაღ ვაჭრობას და ტრენდი ზრდის მიმართულებით მხოლოდ ბოლო ნახევარი თვეა, რაც დაიძრა. ამის მიზეზი აშშ-ის სტიქია აღმოჩნდა, რომელმაც 15 ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პარალიზება გამოიწვია, რამაც თითქმის 20%-ით შეამცირა ნავთობის გადამუშავება. სტიქიამ, ასევე მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მექსიკის ყურეს, რის შემდეგაც თითქმის 25%-ით შემცირდა ნავთობის მოპოვება. ამან, რა თქმა უნდა, მოახდინა გავლენა ნავთობის ფასზე მაგრამ 2012 წლის შემდეგ ამერიკამ პირველად გახსნა თავისი სტრატეგიული მარაგები და 500.000 ბარელი მიაწოდა ბაზარს, რამაც ბაზარზე ფასის მატების ტენდენცია შეაჩერა. ბაზრისთვის ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადება. რომლის მიხედვითაც თურქეთის პრეზიდენტი დაიმუქრა, რომ თუ ერაყი მაინც ჩაატარებს რეფერენდუმს ქურთისტანის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, ის გადაკეტავს ნავთობსადენს, რომლითაც ხორციელდება ნავთობის ექსპორტი ჩრდილოეთ ერაყიდან. ამ განცხადებამ მყისიერად იმოქმედა ნავთობის ფასზე. თუმცა მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში ნავთობზე ფასების ზრდის ტენდენცია არ შენარჩუნდება, – აცხადებს ბაირახტარი.

# რომელ ქვეყანაში არ შეუშვეს ყველაზე მეტი საქართველოს მოქალაქე?

საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ, 2017 წლის 28 მარტიდან, შენგენის ზონის ქვეყნებში შესვლაზე უარი ეთქვა საქართველოს 242 მოქალაქეს.



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციას „პირველი არხი“ ავრცელებს.

შსს-ს ცნობით, ამ მონაცემებში შედიან მხოლოდ ის პირები, რომლებმაც შენგენის ზონაში გასამგზავრებლად პირდაპირი რეისით ისარგებლეს.

ქვეყანაში შესვლაზე ყველაზე მეტი უარი საქართველოს მოქალაქეებს იტალიამ უთხრა, სადაც 62 მოქალაქე არ შეუშვეს. უარის თქმის 41-41 შემთხვევა დაფიქსირდა საბერძნეთსა და პოლონეთში.

შემდეგ მოდიან გერმანია (27) და კვიპროსი (27).

საქართველოს 20 მოქალაქეს უარი ეთქვა უნგრეთში შესვლაზეც.

შსს-ს ინფორმაციით, ჯამში, შენგენის ზონის ქვეყნების მიმართულებით, საქართველოს 83.359 მოქალაქე გაემგზავრა. მონაცემები დათვლილია მიმდინარე წლის 28 მარტიდან 7 სექტემბრის ჩათვლით.

„პირველმა არხმა“ ასევე გამოითხოვა ინფორმაცია – შენგენის ზონაში რამდენმა მოქალაქემ დაარღვია უვიზო მიმოსვლის წესი და რა სანქცია დაეკისრათ მათ. შსს-ს ცნობით, აღნიშნულ ინფორმაციას მათი უწყება არ ამუშავებს.

# რა მდგომარეობაა თბილისის მიტოვებულ ადგილებში



თბილისში ასეულობით ჰექტარი საწარმოო ტერიტორიაა, რომლის დიდი ნაწილიც დღეს მიტოვებულია. არცთუ შორეულ საბჭოთა წარსულში საწარმოებს დედაქალაქის ფართობის დაახლოებით 17% ეკავა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, თბილისში მოქმედმა მსხვილმა ინდუსტრიულმა საწარმოებმა, ფუნქციონირება შეწყვიტეს. მათი ტერიტორიების დიდი ნაწილი ნაკვეთებად დაიშალა და გასხვისდა, შედარებით მცირე ნაწილი კი კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში რჩება.

მტკვრისა და რკინიგზის გასწვრივ განლაგებული ყოფილი საწარმოები, ძირითადად, დედაქალაქის სამ ნაწილში – ავჭალაში, დიდუბესა და სამგორშია კონცენტრირებული. ქალაქის მთელს სიგრძეზე განლაგებული მიტოვებული ან ნახევრად მიტოვებული არეალები თბილისისთვის ამ დრომდე უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება.

გამოკვლეული არ არის ტერიტორიების შესაძლო დაბინძურების რისკებიც. ქალაქისთვის მიტოვებული საწარმოების სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობაზე პირველად ცოტა ხნის წინ, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ავტორები ალაპარაკდნენ.

ავჭალაში მდებარე ყოფილი ცენტროლიტის ტერიტორიაზე მძიმე სურათია. აქტიური საწარმოო პროცესი აქ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში შეწყდა, თუმცა რამდენიმე მცირე ქარხანა ამ დრომდე ფუნქციონირებს. ბრაუნფილდები – ასე უწოდებენ ყოფილ საწარმოო ან კომერციულ ტერიტორიებს, რომლებიც მიტოვებულია ან შესაბამისი დატვირთვით აღარ გამოიყენება.

მსგავსი შენობები სხვადასხვა ტიპის, მათ შორის ქიმიური დაბინძურების არეალსაც შეიძლება წარმოადგენდეს. საწარმოო ტერიტორიები თბილისში ტრადიციულად მტკვრის გასწვრივ, ქალაქის ცენტრალურ ნაწილშიც არის განთავსებული.

ცენტროლიტის ყოფილი თანამშრომელი 71 წლის ლუდმილა ბიწოევა, რომელსაც საწარმოში მუშაობის 22-წლიანი სტაჟი აქვს, იხსენებს, რომ მასთან ერთად მომუშავე რამდენიმე ადამიანი მუშაობის პროცესში დაავადდა.

– ბევრი ასეთი შემთხვევა გვქონდა, დეტალების ჩამოსხმის შემდეგ გაცივებისას სპეციალური ჩაქუჩით ხდებოდა მათი დამუშავება, მტვერი დგებოდა და ფილტვებში ილექებოდა ძალიან ბევრი დაავადდა ამისგან, – ამბობს ლუდმილა ბიწოევა.

ყოფილი ცენტროლიტის ქარხნის მსგავსად, თბილისში 800 ჰექტარზე მეტი საწარმოო ტერიტორიაა, რომელიც სრულად არის გაჩერებული ან ნაწილობრივ ფუნქციონირებს.

ამ ტერიტორიების დიდი ნაწილი 90-იანი წლების შემდეგ ნაკვეთებად დაიყო და კერძო საკუთრებაში გადავიდა, შედარებით მცირე ტერიტორია კი ამ დრომდე სახელმწიფოს საკუთრებად რჩება. გაჩერებული საწარმოების აღწერა და რუკაზე დატანა პირველად ცოტა ხნის წინ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფარგლებში განხორციელდა.

– როცა ხდება ასეთი ტერიტორიების გავერანება, ანუ ტერიტორია მთლიანად ინგრევა, ხდება დაშლა ცალკეული ობიექტების და გატანა, ქალაქ-გეგმარებით განაშენიანების სივრცე ამოჭმულივით არის, ანუ ის სიცოცხლისუნარიანობას კარგავს.

დიღომი, მიონის მიმდებარე ტერიტორია, გლდანისა და დიღმის დამაკავშირებელი ხიდი – მათი მიმდებარე არეალი ძირითადად სასაწყობო და სამეურნეო დანიშნულებისთვის გამოიყენება. გენერალური გეგმის ავტორები მომავალში ამ ტერიტორიას სარეკრეაციო ზონად მოიაზრებენ, მიუხედავად იმისა რომ ფართის დიდი ნაწილი კერძო საკუთრებაშია.

– თუ გონივრული და კარგი დაგეგმვა მოხდება, ამ მეპატრონეებსაც უნდათ განვითარება, ისინიც მზად იქნებიან, რომ შემოვიდეს ინვესტორი და დაიწყოს განვითარება, ამ შემთხვევაში მათაც ექნებათ მოგება. თბილისს აქვს გამწვანებული არეალების ძალიან დიდი პრობლემა და ნახევარი მაინც ბრაუნფილდებისა უნდა განვითარდეს რეკრეაციულ ზონად, – აცხადებს მერაბ ბოლქვაძე, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის თანახელმძღვანელი.

ბრაუნფილდების ნახევრის მწვანედ გადაკეთების შესახებ კითხვას არაერთმნიშვნელოვნად პასუხობენ თბილისის მერიაში. იმ პირობებში, როცა ბოლო კვლევების მიხედვით, თბილისის განაშენიანებულ ტერიტორიაზე გამწვანებული სკვერებისა და პარკების ფართობი ერთ სულ მოსახლეზე 3 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია. შედარებისთვის საშუალო ნორმატიული მაჩვენებელი ევროპის ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე 20 კვადრატულ მეტრზე გამწვანებას ითვალისწინებს.

– ასეთ ტერიტორიებზე, სადაც ახალი მიდგომა იქნება, მოთხოვნა იქნება ინვესტორის მხრიდანაც და ადგილობრივი მესაკუთრისგანაც, რომ ეს კომპონენტი იყოს ერთ-ერთი ძლიერი, – ამბობს მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ წიკლაური.

მერიაში ადასტურებენ, რომ ამ ტერიტორიებზე ქიმიური ან სხვა სახის დაბინძურების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ არსებობს.

– მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ჩვენ მოვიწვიეთ ექსპერტი, რომელმაც ჩაგვიტარა ზოგადი კვლევა ბრაუნფილდების და ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იქნება, საწარმოო ხასიათიდან გამომდინარე, მისი ეკოლოგიური კვლევა, იმიტომ რომ, ჩვენ მაგალითები ვიცით უკვე უცხოეთის ქვეყნებიდან, როდესაც ნიადაგის გარკვეული ფენები იხსნებოდა ბრაუნფილდებში და ახალი ნიადაგით შევსება ხდებოდა, რადგან ისინი იყო დაბინძურებული, – ამბობს ზურაბ წიკლაური.

სამგორი – ყოფილი ცხიმკომბინატის ტერიტორია – სხვა საწარმოების მსგავსად, აქაც რამდენიმე წვრილი საწყობი, საწარმო და ჯართის ჩასაბარებელი პუნქტია. ტერიტორიის დიდი ნაწილი მიტოვებულია, ერთ-ერთ ნაკვეთზე კი ახალი საცხოვრებელი კორპუსია აშენებული. ანალოგიური სურათია კომბინატის მოსაზღვრე, ყოფილი კერამიკის ქარხნის ტერიტორიაზე.

ასეთი ადგილების ნაწილი თბილისში დევნილების საცხოვრებლად გადაკეთდა, ისე რომ შესაძლო დაბინძურების კვლევა არ ჩატარებულა.

ლიკა ჯილაური ერთ-ერთია იმ ათეულობით ადამიანიდან, ვინც უკვე წლებია ცხინვალიდან დევნილ მეუღლესთან ერთად ცხიმკომბინატის ტერიტორიაზე ცხოვრობს. დევნილები უკვე წლებია ტერიტორიიდან გასახლებას უშედეგოდ ითხოვენ. ამის მიზეზი, შენობის ავარიულობასთან ერთად, ჯანმრთელობის მავნე გარემოც არის.

დევნილებისთვის ცნობილი არ არის იმ კვლევის შინაარსი, რომელიც ტერიტორიის კეთილმოწყობის ფარგლებში რამდენიმე წლის წინ „მერიდიანი 2003“-ის მიერ ჩატარდა და რომელმაც აზოტის დიოქსიდის ძალიან მაღალი და ტყვიის ოქსიდის მომატებული კონცენტრაციები დააფიქსირა.

გარემოს დამცველები იმ რისკებზე საუბრობენ, რომლებიც საწარმოო ტერიტორიებზე ცხოვრებას უკავშირდება. მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძის განცხადებით, თბილისში ასეთ ტერიტორიებს 100-წლიანი ისტორია აქვთ და არცერთი მათგანი გამოკვლეული არ არის.

– ამიტომ ყველაზე ლოგიკური გადაწყვეტილება იქნება მათი რეკრეაციულ ზონებად გადაკეთება, – ამბობს ნინო ჩხობაძე.

ყოფილი ბრაუნფილდების რეკრეაციულ ზონებად გადაქცევის მაგალითები არსებობს ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი და აღმოსავლეთ გერმანია. რა იქნება თბილისში, ეს მხოლოდ ბრაუნფილდების დეტალური კვლევის შედეგად გახდება ცნობილი.

**კომერსანტი**

# სად არჩევენ გაჩერებას საქართველოში ჩამოსული ტურისტები

სად ბინავდებიან საქართველოში ჩამოსული ტურისტები და რომელ სეგმენტს ანიჭებენ უპირატესობას? – ამის თაობაზე საქართველოს ტუროპერატორთა ასოციაციის ხელმძღვანელი ია თაბაგარი გვესაუბრება:

– მოგზაურობა და დასვენება ფინანსებთან არის დაკავშირებული, ამიტომ ადამიანი აკეთებს არჩევანს – ძვირადღირებულ სასტუმროში წავიდეს თუ შედარებით იაფფასიანი სეგმენტით ისარგებლოს. მაგალითად, ზღვისპირა კურორტებზე არის ადგილები, სადაც ადამიანს შეუძლია, ღამე 5-10 ლარადაც გაათიოს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო თითქმის ყველა კატეგორიის ტურისტისთვის ხელმისაწვდომია. საოჯახო სასტუმროს თავისი კლიენტი ყოველთვის ეყოლება, რადგან არსებობს კატეგორია, რომელიც ოჯახურ გარემოში დასვენებას ამჯობინებს.

მაგალითად, ზოგიერთ უცხოელს, რომელიც საქართველოში ჩამოდის, სულაც არა აქვს ფინანსური პრობლემები, მაგრამ ურჩევნია, ქვეყანა და ხალხი უფრო ახლოს გაიცნოს და საოჯახო სასტუმროშიც ამ მიზნით ჩერდება. თანაც, ამ ადამიანების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს, ისინი ეკოტურიზმით არიან დაინტერესებული და პირველ რიგში ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრება აინტერესებთ, – აღნიშნავს ია თაბაგარი.

მისი თქმით, არსებობს ვიზიტორთა მეორე კატეგორია, რომელიც კომფორტს ირჩევს და ყოველთვის საერთაშორისო კლასის სასტუმროში ბინავდება.

– ძვირადღირებულ და ცნობილ სასტუმროებს უფრო თბილისის, ბათუმისა და სხვა ქალაქების სტუმრები ირჩევენ. ასეთი ვიზიტორების რაოდენობა ზამთარში უფრო მეტია. ისინი ხშირად ბინავდებიან კახეთის სასტუმროებშიც, კერძოდ, კაჭრეთში, ყვარელში, სიღნაღში – სადაც მაღალი დონის სასტუმროებია და ზამთარში კონფერენციები და სემინარები იმართება. ასეთი ღონისძიებების მონაწილეები დასაბინავებლად კომფორტულ პირობებს ირჩევენ. სხვათა შორის, მე ახლა სიღნაღში ვარ და გაგიკვირდებათ, აქ იმდენი ხალხია. სიღნაღის ყველა სასტუმრო დაკავებული და გადატვირთულია.

კარგია, რომ საქართველოს ყველა კუთხეში არის კარგი სასტუმროები, რომლებიც შეძლებულ ადამიანებსაც ემსახურებიან და საშუალო ფენის წარმომადგენლებსაც. მოკლედ, ჩვენს ქვეყანაში ისეთი ინფრასტრუქტურა ნამდვილად არის, სადაც სტუმრები გაჩერებას შეძლებენ, – აღნიშნავს ია თაბაგარი.



უძრავი ქონების განცხადებების საიტ საქმე.გე-ს დირექტორი ნიკა ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ ტურისტის არჩევანს მისი მატერიალური მდგომარეობა განსაზღვრავს.

– ბევრი ტურისტი, ვინც საქართველოში ჩამოდის, საცხოვრებლად ისეთ ადგილს ირჩევს, რომლის ფასიც მის ფინანსურ მდგომარეობას შეესაბამება. მსოფლიოში არსებობს ძალიან პოპულარული და ცნობილი საიტები, რომელთა დახმარებითაც ახერხებენ პოტენციური დამსვენებლები ბინის დაქირავებას. მათი დახმარებით ადვილად შეძლებთ ნებისმიერ ქვეყანაში, მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას უპრობლემოდ შეარჩიოთ და დაიქირაოთ ბინა.

მარტო უცხოური კი არა, ქართული საიტებიც აქტიურად არიან ჩართული ბინების გაქირავებაში. ასე რომ, ბინის მოძიება დღეს პრობლემა არ არის. ასეთი საიტები ძალიან ბევრ ბინას სთავაზობენ ჩვენი ქვეყნის სტუმრებს. უმეტესობა ცდილობს, დიდი თანხა არ გადაიხადოს და ნორმალურ პირობებში მოხვდეს. ჩვენთან სასტუმროს მომსახურება იაფი ნამდვილად არ არის, ამიტომ ტურისტებიც პატარა საოჯახო სასტუმროებს ირჩევენ, – ამბობს ნიკა ჯაფარიძე.

მისი თქმით, საქართველოს კურორტებზე ფასები ჭრელია: გააჩნია ბინის მდებარეობასა და ფართობს, მაგრამ არის ბინები, რომლებიც 50 ლარად ქირავდება – იქ სავსებით ნორმალური პირობებია და ორი ადამიანი თავისუფლად მოთავსდება. რა თქმა უნდა, საოჯახო სასტუმროებს უფრო შეღავათიანი ფასები აქვთ. მათი მომსახურებაც გაუმჯობესებულია 4-5 წლის წინანდელთან შედარებით, რადგან თანამედროვე მოთხოვნებს ფეხი აუწყეს. რაც შეეხება ფასებს – საოჯახო სასტუმროებში დიდ სასტუმროებთან შედარებით განახევრებული ფასებია, თანაც, ზოგიერთი მათგანის სერვისი დიდი სასტუმროების სერვისს არ ჩამორჩება, ამიტომ, ჩვენი ქვეყნის სტუმრები დასასვენებლად უმეტესად ამ სექტორს ირჩევენ. ტურისტების უმრავლესობას სავსებით აკმაყოფილებს პირობები, რომელსაც საოჯახო სასტუმროები სთავაზობენ.

ნიკა ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ იგივე ხდება უცხოეთშიც.

– მაგალითად, თუ ვენეციაში წასვლა გსურთ და ფასებს შეადარებთ, პრესტიჟული სასტუმროები იქაც ძვირი ღირს, კერძო სექტორი კი სტუმრებს გაცილებით შეღავათიან ფასებს სთავაზობს. ტურისტიც თავისი ფინანსური მდგომარეობის მიხედვით წყვეტს, სად დაბინავდეს – ეს მექანიზმი თითქმის ყველა ქვეყანაში ერთნაირად მუშაობს, გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველოა, – აცხადებს უძრავი ქონების საიტის დირექტორი.

# მოსწავლეებს ფულის შეგროვება საკლასო ოთახების რემონტისთვისაც უწევთ



პირველი ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლის მშობლის ინფორმაციით, მოსწავლეებს ფულის შეგროვება საკლასო ოთახების რემონტისთვისაც უწევთ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პირველი ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლის ერთ-ერთმა მშობელმა განუცხადა, ახალი სასწავლო წლის დაწყების შემდეგ კლასის დამრიგებელმა მათ ჯამში 250 ლარის მიტანა მოსთხოვა.

მშობლის განცხადებით, თანხა შეაგროვეს, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ სკოლაში სხვა საკლასო ოთახების რემონტისთვის ფული მოსწავლეებს არ შეუგროვებიათ და კლასები სახელმწიფო სახსრებით გარემონტდა.

პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში თანხის შეგროვების ფაქტს გამორიცხავენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დირექტორის პირველმა მოადგილემ ქეთი მიქანაძემ განუცხადა, სკოლაში თანხის შეგროვება ნებისმიერი საჭიროებისათვის აკრძალულია და მსგავსი შემთხვევები არ ხდება.

– სკოლაში რემონტი ნამდვილად კეთდება, ყოველ ზაფხულს ვალამაზებთ და ვათეთრებთ სკოლას, რაც გამოსაცვლელია, იმას ვცვლით.

ჩვენ სკოლის მასშტაბით ყველგან გამოკრული გვაქვს განცხადებები, რომ თანხის შეგროვება ნებისმიერი საჭიროებისთვის არის აკრძალული. ასეთი რაღაც სკოლაში არ ხდება. როდესაც წლის დასაწყისში კრება ტარდება, მოადგილეები აუცილებლად შევდივართ კლასებში და მშობლებს ვაცნობთ, რომ თანხის შეგროვება ნებისმიერი საჭიროებისათვის გამორიცხულია. სკოლაში თანხა არ გროვდება“, -განაცხადა ქეთი მიქანაძემ.

შეგახსენებთ, რომ სანზონაში, ღრმაღელის მეტროსთან მდებარე ახალგარემონტებულ 32-ე საჯარო სკოლაში ჟალუზების შეძენა მშობლებს დაევალათ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ერთ-ერთმა მშობელმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, ჟალუზების შესაძენად თანხის აგროვების საკითხზე ყველა კლასში მშობელთა კრება ჩატარდა.

# უკრაინის მოქალაქე ირინა სავიცკაიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 3-დან 6 თვემდე გაუგრძელდა

უკრაინის მოქალაქე ირინა სავიცკაიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 3-დან 6 თვემდე გაუგრძელდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილმა მიიღო.

მოსამართლემ ის გარემოებები განმარტა, რაზეც გადაწყვეტილების მიღებისას გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, მოსამართლის თქმით, პირი არის საკუთარ ქვეყანაში ძებნილი, რის გამოც მისი მიმალვის საფრთხე არსებობს. მისივე განცხადებით, დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია არსებითად ახალი გარემოება, რომელიც შესაძლოა გამხდარიყო აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველი. შესაბამისად, მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და უკრაინის მოქალაქე ირინა სავიცკაიას საექსტრადიციო პატიმრობა ვადით 3-დან 6 თვემდე გაუხანგრძლივდა.

მოსამართლის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება დაცვის მხარე და მის გასაჩივრებას სააპელაციო სასამართლოში სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარების შემდეგ გეგმავს.

— მიმაჩნია, რომ სასამართლომ არასამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო. ამასთანავე, მან არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, სადაც ის მიმართავდა სასამართლოს მეგობრის სტატუსით მოსამართლეს და სთხოვდა გაეთვალისწინებინა, რომ ირინა სავიცკაია არის არასრულწლოვნის დედა, შესაბამისად, არ გაგრძელებულიყო საპატიმრო ღონისძიება. ჩვენ აუცილებლად გავასაჩივრებთ მოსამართლის გადაწყვეტილებას, — განაცხადა ადვოკატმა გიორგი კონდახაშვილმა.

# ქურდობისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს




შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდობის და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ბრალდებით 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.დ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ერთ-ერთი მოქალაქის კუთვნილ საბანკო პლასტიკურ ბარათს გაურკვეველ ვითარებაში დაეუფლა და მისი გამოყენებით, მიმდინარე წლის 23 ივლისს, რვა ეტაპად, სხვადასხვა რაოდენობის თანხა გადარიცხა Crystalbet.com-ის მის მიერ შექმნილ ანგარიშებზე, ხოლო მიმდინარე წლის 23 და 24 ივლისს — დარჩენილი თანხით სხვადასხვა სუპერმარკეტში საყოფაცხოვრებო ნივთები შეიძინა.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი ბინიდან აღნიშნული პლასტიკური ბარათი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ქურდობისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 284-ე მუხლის 1-ლი ნაწილით) — აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# კახეთში 23 წლის ახალგაზრდა კაცმა 72 წლის მოხუცი მოკლა

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლში 72 წლის მამაკაცი თანასოფლელმა ბლაგვი საგნით მოკლა.

ბრალდებული 23 წლისაა. როგორც „ნიუპოსტს“ ადგილობრივები უყვებიან, ახალგაზრდა ნასამართლევია.

მკვლელობაში ბრალდებული პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა. გამოძიება 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

როგორც ირკვევა, მოხუცი მარტო ცხოვრობდა.

# ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის მკვლელობაში ბრალდებულებს 19 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ

ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის მკვლელობაში ბრალდებულები სასამართლომ დამნაშავედ ცნო. გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი დარახველიძემ გამოაცხადა. კერძოდ, ბესიკ ხარძიანის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ ფარიდ გურბანოვს 19 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ბრალდებულ ოლეგ დოევს 19 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. განაჩენის გამოცხადებას ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ.

ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანს თბილისში საკუთარ სადარბაზოში 2015 წლის 28 მარტს ესროლეს. მიყენებული ჭრილობების შედეგად ის საავადმყოფოში გარდაიცვალა. მთავარმა პროკურატურამ ბიზნესმენის მკვლელობის საქმე გახსნილად 2016 წლის იანვარში გამოაცხადა. ხარძიანის მკვლელობაში ბრალი ფარიდ გურბანოვსა და ოლეგ დოევს წაუყენეს, რომლებზეც ძებნაა გამოცხადებული, ვინაიდან მათ საქართველოს ტერიტორია მკვლელობის დღესვე დატოვეს.

ბიზნესმენი ბესიკ ხარძიანი გარდაცვალებამდე 2011 წლის თებერვალში ნარკოდანაშაულის ბრალდებით დააკავეს და პატიმრობიდან 2012 წლის დეკემბერში გათავისუფლდა. ხარძიანი ამტკიცებდა, რომ ამ პერიოდში მას კუს ტბის წილები ზეწოლით დაათმობინეს და მის დასაბრუნებლად სასამართლო განხილვები დღემდე გრძელდება.

❖ ❖ ❖

ბესიკ ხარძიანის ოჯახის წევრები, ბიზნესმენის მკვლელობაში ბრალდებულების მიმართ განაჩენის გამოტანას მიესალმებიან და ამავე დროს, მკვლელობის შემკვეთების დასჯას ითხოვენ. როგორც ბესიკ ხარძიანის შვილმა, ქეთევან ხარძიანმა განაცხადა, მკვლელობის შემკვეთები აუცილებლად უნდა წარსდგნენ ქართული მართლმსაჯულების წინაშე. ხარძიანები მკვლელობის შეკვეთაში ორი ადამიანის გვარს ასახელებენ.

— მოხარულები ვართ რა თქმა უნდა, რომ მკვლელების მიმართ დადგა განაჩენი და მათ 19-19-წლიანი პატიმრობები მიესაჯათ, თუმცა აუცილებელია, რომ მკვლელობის დამკვეთები წარსდგნენ ქართული მართლმსაჯულების წინაშე და გასამართლდნენ. მკვლელობის შემკვეთები



არიან ქურასბედიანი და გიორგი უდესიანი, — განაცხადა ქეთევან ხარძიანმა.

ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის მკვლელობაში ბრალდებულები ფარიდ გურბანოვი და ოლეგ დოევი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და 19-19 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

# დეკანოზი გიორგი მამალაძე საკვებისა და მედიკამენტების მიღებაზე უარს აცხადებს

დეკანოზი გიორგი მამალაძე საკვებისა და მედიკამენტების მიღებაზე უარს აცხადებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დეკანოზის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განუცხადა, ამის მიზეზი




სატელეფონო კომუნიკაცია გახდა, რომლის ნორმალურად განხორციელების საშუალება, ადვოკატის მტკიცებით, მამა გიორგი მამალაძეს არ მისცეს.

— დღეს არის მისი შვილის დაბადების დღე და უნდოდა დარეკვა. ვითომ არეკინებდნენ, მაგრამ საუბარი ხარვეზების გამო ვერ შეძლო. მიმართა თანამშრომლებს, რაზეც მათ უთხრეს — ეტყობა ის ტელეფონი ვერ იჭერსო. ამის შემდეგ გადარეკა 4 სხვადასხვა ნომერზე და აბსოლუტურად იგივე განმეორდა, ისევ ხარვეზები იყო. ამაზე გამოთქვა პროტესტი და შეწყვიტა საკვებისა და მედიკამენტების მიღება. შემოიტანეს ოქმები, სადაც წერია, რომ უარს აცხადებს საკვებისა და მედიკამენტების მიღებაზე, თუმცა არ არის მითითებული საფუძველი. მოვთხოვე დოკუმენტის გასწორება და საფუძვლის დამატება, თუმცა წაიღეს ოქმები და კანცელარიაში გაატარეს თითქოს ხელი არ მოაწერა მამა გიორგიმ, — განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

მისივე თქმით, ამ ყველაფერზე განცხადება დაიწერა და სახალხო დამცველის წარმომადგენელმაც დააფიქსირა არსებული ვითარება. ადვოკატის თქმით, ციხის თანამშრომლები ყველა ხერხით ცდილობენ დეკანოზზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენას.

— ეს არის ფსიქოლოგიური ზეწოლა, როცა ბავშვის დაბადების დღეზე არ აძლევ ადამიანს საშუალებას დარეკვის. რომ ჰკითხო, ყველაფერი გამართულად მუშაობს და რაღა მაინცდამაინც დღეს დაიბლოკა და დაიხშო ყველაფერი? ზოგადად მამა გიორგის პირობები ძალიან გაუსაძლისია. მას საკანში ელემენტარული პირობებიც არ აქვს. საშინელი სუნია კანალიზაციის, საკვებთან დაკავშირებით პრობლემებს უქმნიან და ა.შ., — განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

მისივე თქმით, ვიდრე ვითარება არ გამოსწორდება, გიორგი მამალაძე საკვებისა და მედიკამენტების მიღებაზე უარს აცხადებს.

# შპს „ალფაზე“ ყაჩაღურ თავდასხმაში ბრალდებული კომპანიის დარაჯებმა ამოიცნეს

შპს „ალფაზე“ ყაჩაღურ თავდასხმაში ბრალდებული პირი აღიარებს, რომ დაზიანებები დაკავების დროს, წაქცევის შედეგად მიიღო. მან, ასევე, წერილობით დააფიქსირა, რომ პოლიციის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია, — ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი. განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ აღნიშნული პირი კომპანია „ალფას“ დარაჯებმა, რომლებიც შემთხვევის დროს ადგილზე იმყოფებოდნენ, ამოიცნეს.

— შპს „ალფაზე“ ყაჩაღურ თავდასხმაში ბრალდებული პირი — 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ს.მ., რომელიც სახალხო დამცველის მიერ მიმდინარე წლის 27 სექტემბერს გავრცელებულ განცხადებაში ფიგურირებს, კომპანია „ალფას“ დარაჯებმა, რომლებიც შემთხვევის დროს ადგილზე იმყოფებოდნენ, ამოიცნეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 22 სექტემბერს სამი შეიარაღებული პირი, თანამზრახველთან ერთად, ყაჩაღურად თავს დაესხა თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე მდებარე შპს „ალფას“. კომპანიის დარაჯებმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, რა დროსაც თავდამსხმელებმა ერთ-ერთ მათგანს თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით დაზიანება მიაყენეს. მეორე დარაჯმა განგაშის ღილაკზე ხელის დაჭერა შეძლო, რის შემდეგაც თავდამსხმელები უფრო აგრესიულები გახდნენ. თავდამსხმელებსა და დარაჯებს შორის წინააღმდეგობა ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. თავდამსხმელებმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა ცადეს.

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-6 განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით, სამივე პირი — 1962 წელს დაბადებული თ.ხ., 1969 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.მ. და 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ს.მ. შემთხვევის ადგილზე დააკავეს. მათი თანამზრახველის დაკავების მიზნით მიმდინარეობს სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები.

პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

დაკავებულებმა მათ მიერ მიმდინარე წლის 15 სექტემბერს თბილისში, აღმაშენებლის ხეივანში, შპს „კენტავრის“ დაყაჩაღების ფაქტიც აღიარეს. ერთ-ერთი დაკავებულის — ს.მ.-ს ავტომანქანის ჩხრეკისას ამოღებულია შპს „კენტავრის“ დაყაჩაღებისას წაღებული რამდენიმე ავტონაწილი.

2017 წლის 24 სექტემბერს თბილისის



საქალაქო სასამართლომ სამივე დაკავებულს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა.

შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებამდე, სამივე დაკავებულს ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო შემოწმება. ბრალდებულ ს.მ.-ს სხეულზე, გარეგნული დათვალიერებით, დაზიანებები აღენიშნებოდა. დაკავებულის განმარტებით, დაზიანებები დაკავების დროს, წაქცევის შედეგად მიიღო. მან, ასევე, წერილობით დააფიქსირა, რომ პოლიციის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია და უარი განაცხადა ფოტოგადაღებაზე. აღნიშნულის თაობაზე შსს-ს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტმა აცნობა შსს-ს გენერალურ ინსპექციასა და ქალაქ თბილისის პროკურატურას, — ნათქვამია განცხადებაში.

# ბაკურიანის სატყეო უბანში უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე და ორი უკანონო სახერხი დანადგარი აღმოაჩინეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბაკურიანის სატყეო უბანში, უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე და 2 უკანონო სახერხი დანადგარი აღმოაჩინეს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სატყეო უბანში, უკანონოდ მოპოვებული 52 მ3 წიწვოვანი სახეობის მრგვალი მორი და 5 მ3 პირველადი გა-



დამუშავების პროდუქტი — ფიცარი აღმოაჩინეს. ამავე ტერიტორიაზე, განთავსებული იყო 2 უკანონო სახერხი დანადგარი ლიანდაგითა და გენერატორით. აღნიშნული დანადგარები და უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყე დალუქული და გადატანილია ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.

მიმდინარეობს გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშება. მასალები, შემდგომი რეაგირებისთვის, შესაბამის უწყებას გადაეგზავნება.

# ზუგდიდის საკრებულოს აპარატის უფროსი დაჭრეს



ზუგდიდის საკრებულოს აპარატის უფროსი გრიგოლ მიქავა დაჭრეს. არსებული ინფორმაციით, მას ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით მუხლის არეში აქვს მიყენებული. აღნიშნულ ფაქტს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ.

როგორც უწყებაში აცხადებენ, დამნაშავის დასაკავებლად საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# გენერალი დანფორდი: „რუსეთი ამერიკისთვის მთავარი საფრთხეა!“

აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი დანფორდი მიიჩნევს, რომ რუსეთი აშშ-სთვის უპირველეს საფრთხეს წარმოადგენს.

— მართალია, ამ ეტაპზე ყველაზე დაძაბული ურთიერთობა ჩრდილოეთ კორეასთან გვაქვს, მაგრამ თავისი სამხედრო პოტენციალით რუსეთს შეუძლია, უფრო მეტი პრობლემა შეგვიქმნას, — თქვა დანფორდმა.

გენერალმა მიმოიხილა რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები და ხაზი გაუსვა იმას, რომ გადატვირთვამ მხოლოდ უარყოფითი შედეგები გამოიღო. ასე იყო პრეზიდენტ ობამას დროს, ასეა ახლაც.

— რუსებს მხოლოდ ძალის ენა ესმით. მათთან სხვაგვარად საუბარი შეუძლებელია, — თვლის გენერალი.

დანფორდი უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას აუცილებლობად მიიჩნევს. უკრაინამ შეძლო ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნა და დონბასში რუსული არმიის წინსვლის შეჩერება. მეტიც, დონბასის დიდი ნაწილი ოკუპანტებისგან გათავისუფლებულია. ამას გარდა, პერიოდი, როცა ქვეყანას დეფოლტი ემუქრებოდა, წარსულს ჩაბარდა.

— უკრაინა იმსახურებს, ამერიკული ლეტალური იარაღი მიაწოდონ, — აცხადებს დანფორდი.

გენერალი აშშ-ირანის ურთიერთობებსაც შეეხო. მან ხაზი გაუსვა, რომ ირანი „საძაგლად იქცევა“. ეს ახლო აღმოსავლეთის მაგალითზე კარგად ჩანს. მიუხედავად ამისა, დანფორდი წინააღმდეგია ირანთან ბირთვულ საკითხზე მიღწეული ხელშეკრულების გაუქმებისა, რაზეც თეთრ სახლში უკანასკნელ ხანს დაუფარავად ლაპარაკობენ.



— ამით შეიქმნება მავნე პრეცედენტი, სხვა ქვეყნები იფიქრებენ, რომ აშშ-სთან შეთანხმების დადება სარისკოა, — ამბობს დანფორდი.

გენერალი ისეთ მტკივნეულ საკითხსაც შეეხო, როგორიც აშშ-პაკისტანის ურთიერთობაა. ვაშინგტონში პაკისტანის მოქმედებებით იმედგაცრუებულნი არიან, რადგან თვლიან, რომ პაკისტანი თალიბების მიმართ გულმოწყალებას იჩენს. დანფორდის აზრით, პაკისტანთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა აუცილებელია.

— სხვაგვარად ავღანეთის პრობლემა ვერ გადაწყდება, — ამბობს დანფორდი.



# ბუნდესტაგის თავმჯდომარე შესაძლოა შიობლე გახდეს

ბუნდესტაგის თავმჯდომარე შესაძლოა ვოლფგანგ შიობლე გახდეს. ამის თაობაზე გერმანული მედია იტყობინება. ამჟამად შიობლეს ფინანსთა მინისტრის პოსტი უკავია.

შიობლეს მხარს ქრისტიან-დემოკრატები უჭერენ. მათ არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მოიპოვეს, თუმცა გადაწყვეტილების მისაღებად ეს არ არის საკმარისი. ქრისტიან-დემოკრატებს კოალიციის შექმნა მოუწევთ. ვისთან, ეს ოფიციალურად ჯერჯერობით არ არის გამოცხადებული.

# პუტინი: რუსეთმა თავისი ქიმიური არსენალი გაანადგურა

ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ ხელშეკრულების პირობები შეასრულა და მთელი თავისი ქიმიური არსენალი გაანადგურა.

პუტინის აზრით, ამერიკელები ამის გაკეთებას არ ჩქარობენ.

— ჩვენმა ამერიკელმა პარტნიორებმა ჯერჯერობით თავიანთი ქიმიური არსენალი შეინარჩუნეს, — ამტკიცებს პუტინი.



# ერაყელი ქურთები დამოუკიდებლობის გამოცხადებას არ აპირებენ



გამოცხადდა ერაყის ქურთისტანში ჩატარებული დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შედეგები. დამოუკიდებლობას მხარი 90%-მა დაუჭირა. მიუხედავად ამისა, ერაყელი ქურთების ლიდერი ბარზანი აცხადებს, რომ ერაყის ქურთისტანი დამოუკიდებლობას არ გამოაცხადებს.

— ჩვენ მოლაპარაკებებისთვის მზად ვართ, — თქვა ბარზანიმ.

ქურთების რეფერენდუმი გააკრიტიკეს აშშ-მ, ერაყმა, თურქეთმა, სხვა ქვეყნებმა. ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ქურთებს მხარს უჭერს, ისრაელია.

— ქურთებს სრული უფლება აქვთ, დამოუკიდებლობა გამოაცხადონ, — განაცხადა ისრაელის პრემიერმა ნეტანიაჰუმ.

# მოლდოვაში დონბასელ ტერორისტთა მომხრე დააკავეს

მოლდოვის უშიშროების სამსახურმა დონბასელ ტერორისტთა მომხრე დააკავა.

დაკითხვაზე დაკავებულმა განაცხადა, რომ 45 წლისაა, სეპარატისტებთან მსახურობდა არა იდეის, არამედ ფულის გამო. მას 15.000 რუსულ რუბლს უხდიდნენ.

— ჩემთვის ეს დიდი თანხაა, — აცხადებს დაკავებული.

შეკითხვაზე, რას საქმიანობდითო, დაკავებულმა მიუგო, რომ მისი ფუნქცია დონბასელი ბოევიკებისთვის იარაღის მიწოდება იყო.

— მართალია, ავტომატი მომცეს, მაგრამ ის არ გამომიყენებია. საომარ მოქმედებებში არ ვმონაწილეობდი, — ამტკიცებს დაკავებული.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



# უგანდაში გვალვის გამო ადამიანების მსხვერპლშეწირვა გახშირდა

აფრიკული სახელმწიფოს უგანდის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ გვალვამ ადამიანების მსხვერპლად შეწირვის ზრდა გამოიწვია.

მიმდინარე წლის სექტემბერში ქვეყანაში რიტუალური მკვლელობის ბრალდებით 40-ზე მეტი ადამიანი დააპატიმრეს. ერთ-ერთმა მათგანმა აღიარა, რომ რვა ქალი მოკლა.

— ეს მკვლელობები რიტუალურ მსხვერპლშეწირვას წარმოადგენდა, — განაცხადა უგანდის გენერალ-ინსპექტორმა კეილ კაიჰურამ, — ჩვენ თავდაუზოგავად ვმუშაობთ, რათა დავაპატიმროთ დანარჩენი ეჭვმიტანილებიც და ეს პრაქტიკა საბოლოოდ აღმოვფხვრათ.

ადამიანების მსხვერპლად შეწირვასა და ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის პოლიციის განყოფილების უფროსმა მოზეს ბინოგამ განაცხადა, რომ 2016 წელს ჯადოქრებმა მსხვერპლად შვიდი ბავშვი და ექვსი მოზრდილი ადამიანი შესწირეს.

მსხვერპლშეწირვის დროს ჯერ კიდევ ცოცხალ ადამიანს სხეულის ნაწილებს აცლიან და სხეულიდან სისხლს ქაჩავენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### შევისყიდით წიგნებს!

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტეს, პროსტატიტისა და გარეთა სასქესო ორგანოების ანთებით დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს. გვაქვს სქესობრივი კონტაქტების დასამყარებლად „ერექტორები“. კონსულტაცია უფასო. ტელ.: 214-07-72; 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა — კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა — პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ალექსანდრე კობახიძე: „90 წუთი რომ ვითამაშო, ტრავმას მივიღებ“

სანდრო კობახიძე ქართველ გულშემატკივრებს სანაკრებო მატჩებიდან ემახსოვრებათ. შემტევი ტიპის ნახევარმცველი ხშირად თამაშობდა ეროვნულ გუნდში, მაგრამ ბოლო პერიოდში აღარ ჩანს. ამის მიზეზი არცთუ ხშირი სათამაშო პრაქტიკაა. თურქეთიდან უკრაინაში სათამაშოდ დაბრუნებულმა სანდრომ ეს ყველაფერი ინტერვიუში აღნიშნა.

**ალექსანდრე კობახიძე:**

– ფორმაში ნელ-ნელა შევდივარ. თითქმის თვენახევარია, არ მივარჯიშია. ჯერჯერობით 2 ტაიმისთვის მზად არ ვარ. ეს მწვრთნელებმა იციან. ერთბაშად 90 წუთი რომ ვითამაშო, ალბათ მაშინვე ტრავმას მივიღებ. სათასო მატჩი მცირე დაზიანების გამო გამოვტოვე, მაგრამ ახლა ისევ საერთო ჯგუფში ვარ.

***– თურქულ გიოზთეფეში თავიდან ყველაფერი კარგად წაგივიდა, მაგრამ საკმარისად მაინც ვერ ითამაშე, ძირითადად სკამზე იყავი... რატომ?***

– ვორკლადან გიოზთეფეში დეკემბერში გადავედი. იმხანად მე შვებულებაში ვიყავი, თანაგუნდელები კი ფორმაში დამხვდნენ, რადგან თურქეთში პაუზა არ აქვთ. ისინი ტონუსში იყვნენ, მე კი ფორმაში შესვლა მჭირდებოდა. თუმცა, მწვრთნელი მენდობოდა და ნელ-ნელა დავიწყე კიდეც თამაში, საგოლე პასების გაკეთება. მაგრამ სწორედ მაშინ მწვრთნელი გაუშვეს. თურქეთში მწვრთნელებს არ ინდობენ – რამდენიმე თამაშს წააგებ, წადი! ახალ მწვრთნელზე ცუდს ვერ ვიტყვი, უბრალოდ, როგორც ფეხბურთელს, არ მიცნობდა და შესაბამისად, ადგილობრივებს ენდობოდა. როდესაც ყველაფერში გაერკვა, უკვე სეზონის ბოლო იყო...

***– შენს გუნდს ელიტაში გადასასვლელი მინიტურნირის მოგებაში რამდენიმე საგოლე პასით დაეხმარე.***

– ეს ყველაზე კარგი გასახსენებელი პერიოდია თურქეთში. პირველ და სუპერლიგას შორის როტაციის სისტემა თურქეთში ისეთი აქვთ, რომ ქვედა დივიზიონის 2 საუკეთესო გუნდის გარდა, კიდევ 4 გუნდი იბრძვის ელიტის მე-3 საგზურისთვის. სწორედ ეს ბრძოლა მოიგო გიოზთეფემ. ფინალური შეხვედრა ექსიშეჰირსფორთან, რომელიც პენალტებით მოვიგეთ, ჩემპიონთა ლიგის მატჩივით დაძაბული გამოვიდა – სავსე სტადიონი, უშეღავათო ბრძოლა... მსგავსი ატმოსფერო მხოლოდ საქართველოს ნაკრების მატჩებსა და რამდენჯერმე უკრაინის ჩემპიონატში განმიცდია. გიოზთეფე სუპერლიგაში გადავიყვანეთ, ხარობდა ქალაქი, რადგან ამ დღეს 13 წელი ელოდა, შინ ხელში აყვანილი მივყავდით...

***– ის იყო, მწვრთნელთან ურთიერთობა მოაწესრიგე, რომ კვლავაც შეიცვალა გუნდის თავკაცი.***

– დიახ, იქ ასეა მიღებული. როდესაც გუნდი ზედა ლიგაში გადადის, ცვლიან მწვრთნელსაც და ნახევარ შემადგენლობასაც. გიოზთეფეში 10 ახალი ფეხბურთელი მოიყვანეს. ჩემთან ერთად მგონი 3-4 ფეხბურთელი დარჩა... მივხვდი, რომ ახალ მწვრთნელს ახალ გუნდში ჩემთვის ადგილი არ ჰქონდა გათვალისწინებული და გადავწყვიტე, წამოვსულიყავი. კი, იზმირი მშვენიერი ქალაქია, პლაჟითა და ყველაფრით, მაგრამ მე რა უნდა მექნა – კურორტზე დავრჩენილიყავი, დამესვენა? ფეხბურთი როდისღა მეთამაშა?

***– ექსცესების გარეშე დაშორდით?***



– დიახ, მივედი ხელმძღვანელობასთან, ვუამბე ყველაფერი და კონტრაქტი გავწყვიტეთ. ვნანობ იმას, რომ მოლაპარაკებებსა და გუნდის ძებნაში ივლისი-აგვისტო გამიცდა. ახლა ვორსკლაში ყველას უნდა დავეწიო. თანაგუნდელები ძალიან კარგად არიან მომზადებულნი, მე კი კონდიციების ამაღლება მჭირდება.

***– თურქული ნახევარი წელი შენთვის კატორღა არ იყო?***

– არა, რას ამბობთ! არც ველოდი, რომ თურქეთის პირველი ლიგა ამდენად ძლიერი იქნებოდა. სიმართლე გითხრათ, როცა იქ მივდიოდი, სხვანაირად წარმომედგინა. იქ თამაში უფრო ძნელია, ვიდრე უკრაინის პრემიერლიგაში – საკმაოდ ძალისმიერად თამაშობენ, იბრძვიან. პლუს, ბრწყინვალე საფეხბურთო ატმოსფერო, ძალიან ბევრი გულშემატკივარია პირველ ლიგაშიც კი. შესაბამისად, მივიღე კარგი გამოცდილება და დამრჩა სასიამოვნო მოგონებები.

***– უკრაინაში როგორ დაბრუნდი?***

– ვორსკლასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. როდესაც თურქეთში ვთამაშობდი, ვეხმიანებოდი ბიჭებს, ხელმძღვანელობას. როდესაც გაირკვა, რომ გიოზთეფედან მოვდიოდი, პარტნიორებმა თავისთან მიმიწვიეს – წამოდი ჩვენთან, დაგვეხმარები. ასეთი ვარიანტი ვორსკლას მწვრთნელებმაც შემომთავაზეს. ვიცი, რომ კლუბში უწინ ფინანსური პრობლემები იყო, მაგრამ მსგავსი რამ უკრაინის პრემიერლიგის ყველა კლუბს აწუხებს... გადავწყვიტე დაბრუნება, ფორმის აღდგენა და გუნდისთვის დახმარება. პოლტავაში წლის ბოლომდე ვიქნები, მერე კი გადავწყვეტთ.

***– ვორსკლაში დაბრუნების მთავარი მიზეზი ფეხბურთელებთან ნაცნობობა და მწვრთნელებთან კარგი ურთიერთობა იყო?***

– ნამდვილად. გუნდში სურდათ, რომ დავბრუნებულიყავი და ამიტომ ყველაფერი მარტივად გადაწყდა.

***– ადრე ვორსკლაში ორივე ფლანგზე და თავდამსხმელის უკანაც კი გათამაშებდნენ, ზოგჯერ კი – სულაც ფორვარდის პოზიციაზე. ახლა სად უფრო კომფორტულად გრძნობ თავს?***

– მნიშვნელობა აღარ აქვს, მარჯვნივ ვთამაშობ თუ მარცხნივ. მარჯვენა ფეხი დავხვეწე და ამიტომ ორივე ფლანგზე კომფორტულად ვარ.

***– ვორსკლამ ჩემპიონატი მძლავრად დაიწყო, მაგრამ შემდეგ მცირე ჩავარდნა ჰქონდა. ჩემპიონატში კონკრეტული მიზნები დაგისახეს?***

– შეკრება გამოვტოვე, სადაც ამის შესახებ იყო კიდეც საუბარი, მაგრამ ვიცი, რომ პოლტავაში ყოველთვის მაღალ მიზნებს ისახავენ. თუმცა, იმასაც ხვდებიან, რომ ჩემპიონობაზე საუბარი ნაადრევია. ჩვენი ამოცანა მაქსიმალურად ბევრი მოგებაა, ვორსკლას კოზირები კი ათლეტური ფეხბურთი და გუნდურად მუშაობაა.

***– დაბრუნების შემდეგ უკრაინულ ფეხბურთში რაიმე ცვლილებებს ამჩნევ?***

– თუკი ჩემპიონატის ანტურაჟზე ვილაპარაკებთ, ამ მხრივ უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა. საფეხბურთო ატმოსფერო კვლავაც უკეთესის სურვილს ტოვებს. ჯერჯერობით კვლავაც ნაკლებად აინტერესებს ხალხს უკრაინული ფეხბურთი. მათ დღეს უამრავი პრობლემა აქვთ, პლუს ქვეყანაში ომია. ტელევიზია და ჟურნალისტები თქვენს საქმეს აკეთებთ, იღებთ, წერთ, ცდილობთ რაღაცის შეცვლას, უკეთესად წარმოგვაჩენთ, მაგრამ ჯერჯერობით ამის შედეგი სტადიონებზე არ ჩანს. თუკი უფრო მეტი ადამიანი მოვა, ფეხბურთელებსაც გამოგვივა ფრთები..

# საბურთალომ ახალგაზრდულ ლიგაზე ბურსა დაამარცხა



**ბურსა-საბურთალო 0:1**

ბურსა. ათათურქი

0:1 კაპანაძე (26)

**ბურსასფორი:** დადაქდენიზი, კაპაჩაკი, სევინჩი, ოზქანი, გონულუ, კარა (თუნჩაი 65), კესკინი, ილმაზი, აკგიონული (აკუსი 87), კარაჩა (იასაკი 46), კაია

**საბურთალო:** ნასყიდაშვილი, მალი, ხუბაშვილი, ჯინჯოლავა, ლაკვეხელიანი (მათოზაშვილი 82), ფურცელაძე, ჩოთალიშვილი, ივანიაძე (ბუილიშვილი 69), კაპანაძე, კოხრეიძე, გულიაშვილი (ჯავახიშვილი 71)

საბურთალოს ახალგაზრდული გუნდი, რომელიც უეფას ახალგაზრდულ ლიგაზე ასპარეზობს, ქალაქ ბურსაში ადგილობრივ გუნდს გაეჯიბრა და დაძაბულ ბრძოლაში 1:0 იმარჯვა. ერთადერთი გოლი მატჩის 26-ე წუთზე გავიდა, როდესაც გიორგი ფურცელაძემ გრძელი გადაცემა ცოტნე კაპანაძეს გაუკეთა, ამ უკანასკნელმაც ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი კარში.

მატჩი დაძაბული იყო, ორივე კართან შეიქმნა გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, თუმცა შეხვედრაში მხოლოდ ერთი ბურთი გავიდა. საბურთალოელებმა ბოლომდე იბრძოლეს და საბოლოოდ ღირსეულ გამარჯვებას მიაღწიეს. გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა ჰქონდა გიორგი ივანიაძეს, გიორგი კოხრეიძესა და ბექა ბუილიშვილს. ამ უკანასკნელის დარტყმული ბურთი კი ჯერ ერთ ძელს მოხვდა, შემდეგ კი მეორეს, მაგრამ ბურთმა ხაზი არ გადაკვეთა.

თავის მხრივ, გოლის გატანა თურქებსაც შეეძლოთ, განსაკუთრებით საბურთალო ბოლო, მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის მე-6 წუთზე გადარჩა. არადა, სწორედ ამ გოლის გასვლა იქნებოდა ყველაზე უსამართლო, რადგან დედაქალაქელები მოგებას იმსახურებდნენ.

აღნიშნული გამარჯვება ახალგაზრდულ ლიგაზე პირველი გამოდგა არამარტო საბურთალოსთვის, არამედ მთლიანად ქართული კლუბებისთვის: ჯერ იყო და 2015 წელს საბურთალომ იასპარეზა და დანიურ მიდტიულანდთან ორივე მატჩში დამარცხდა, ხოლო 2016 წელს თბილისის დინამო ორჯერ დამარცხდა ალმატის კაირატთან.

საპასუხო შეხვედრა 18 ოქტომბერს გაიმართება. თურქული კლუბის ძლევის შემთხვევაში, საბურთალო მეორე წრეში ბორდაკსა და ჰაიფას მაკაბის შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება. მეორე წრის მატჩები კი 1-22 ნოემბერს გაიმართება. ორივე ეტაპის დაძლევის შემთხვევაში კი გუნდები უეფას ახალგაზრდული ლიგის პლეი ოფში ითამაშებენ, რომელიც 2018 წლის 6-7 თებერვალს დაიწყება.

# ეროვნული ლიგა მეოთხე წრეს შეუყვა

დღეს საქართველოს ეროვნული ლიგის მეოთხე, დასკვნითი წრე იწყება, რომელმაც ბევრი რამ უნდა გადაწყვიტოს.

ბრძოლა ყველა ადგილისთვის მიმდინარეობს.



**29 სექტემბერი**

**კოლხეთი-დინამო (თბ)**

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

ორი განსხვავებული მიზნების მქონე გუნდების მატჩი. კოლხებს ცუდი დროება უდგათ და ელიტაში დასარჩენად იბრძვიან. საამისოდ მწვრთნელად უცხოელი სპეციალისტიც კი მოიწვიეს, მაგრამ ალექსანდრ შტელინის ხელი ჯერ გუნდს არ ეტყობა.

მოკლედ, ფოთელთათვის ყველა ქულას მნიშვნელობა აქვს, ისევე, როგორც დინამოსთვის, რომელიც საჩემპიონოდ არის შემართული და ბოლო წრეს სოლიდური ჰანდიკაპითაც ხვდებიან. თუმცა, კახა კაჭარავას შეგირდებს მოდუნების უფლება არ აქვთ და ქულების აღებას მაქსიმალურად შეეცდებიან – მით უფრო აუტსაიდერ გუნდებთან.

**შუქურა-სამტრედია**

ბათუმი. რაგბი არენა

ეს გუნდებიც იმავე სიტუაციაში იმყოფებიან – შუქურა ელიტაში დასარჩენად იბრძვის, ხოლო სამტრედიას ჯერ კიდევ აქვს ჩემპიონობის მცირე შანსი და ბოლომდე შეეცდება გამოყენებას.

ქობულეთელები სასწაულის იმედად უნდა იყვნენ, რომ ელიტაში პირდაპირ დარჩნენ, მაგრამ პლეი ოფში მოსახვედრად იბრძოლებენ და იქიდან შეეცდებიან უმაღლესში ადგილის შენარჩუნებას.

სამტრედიას ახალი მწვრთნელი ჰყავს – უჩა სოსიაშვილი და ვნახოთ, როგორ მოახერხებს გუნდის გადაწყობასა და განწყობას მეოთხე წრეში.

**30 სექტემბერი**

**ლოკომოტივი-დინამო (ბთ)**

თბილისი. მიხეილ მესხი 2

ლოკომოტივს მესამე ადგილზე გასვლის იმედიც აქვს და ევროტურნირებზე მოხვედრას მე-4 ადგილიდანაც შეეცდება, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საქართველოს თასს სამეულში მყოფი გუნდები, კონკრეტულ შემთხვევაში კი, თბილისის დინამო, ან ქუთაისი ტორპედო მოიპოვებს.

თუმცა, განაღდებული არც მეოთხე ადგილი აქვს, რადგან ზურგსუკან საბურთალოსა და საჩხერის ჩიხურას სუნთქვა ესმის.

ზღვისპირელებს კი გააფთრებული ბრძოლა აქვთ ელიტიდან გასავარდნი პლეი აუტის თავის დასაღწევად. თითქოს კარგად დაკომპლექტებული გუნდია, მაგრამ ცხრილში მაინც უჭირს. მდგომარეობის გამოსასწორებლად კი მხოლოდ მეოთხე წრეა დარჩენილი.

**ტორპედო-საბურთალო**

ქუთაისი. რამაზ შენგელია

ტორპედოს ჯერ ისევ აქვს ჩემპიონობის იმედი. საამისოდ კი დასკვნით წრეში ქულის დაკარგვაც კი შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს. ამიტომ, მაქსიმუმის გაღებას ეცდება ყველა მატჩში. ამასთან, საკუთარ მოედანზეა...

საბურთალოსაც აქვს იმედი, მოხვდეს ევროტურნირებზე. ახალგაზრდული გუნდი ბოლოსკენ მოფერიანდა და მესამე წრე ყველაზე უკეთ ჩაატარა. თუ იმავეს გამეორებას დასკვნით წრეში მოახერხებს, არ არის გამორიცხული, ოცნება აისრულოს.

**1 ოქტომბერი**

**დილა-ჩიხურა**

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

გორელებსაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვთ პლეი აუტისგან თავის დასაღწევად. ქართლელები ეცდებიან, საშინაო მატჩებში მაქსიმუმს მოუყარონ თავი და პრობლემები თავიდან აიცილონ.

ჩიხურას კი ორ ფრონტზე უწევს ბრძოლა. თუ ჩემპიონატში მე-4 ადგილზე გავიდა, პრაქტიკულად ევროტურნირზეა და ამის შანსი აქვს. თუ ამ ადგილს ვერ შესწვდა, მაშინ საქართველოს თასზე უნდა იბრძოლოს. ვნახოთ, როგორ გაანაწილებენ ძალებსა და ტაქტიკას სოსო ფრუიძე და მისი შეგირდები.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 27 | 18 | 4 | 5 | 65-23 | 58 |
| 2.ტორპედო | 27 | 15 | 7 | 5 | 40-21 | 52 |
| 3.სამტრედია | 27 | 15 | 6 | 6 | 42-28 | 51 |
| 4.ლოკომოტივი | 27 | 14 | 3 | 10 | 50-35 | 45 |
| 5.საბურთალო | 27 | 13 | 4 | 10 | 44-31 | 43 |
| 6.ჩიხურა | 27 | 12 | 4 | 11 | 34-43 | 40 |
| 7.დილა | 27 | 8 | 7 | 12 | 33-40 | 31 |
| 8.დინამო (ბთ) | 27 | 9 | 2 | 16 | 24-42 | 29 |
| 9.კოლხეთი | 27 | 4 | 7 | 16 | 23-50 | 19 |
| 10.შუქურა | 27 | 2 | 6 | 19 | 25-67 | 12 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## შედეგები

27 სექტემბერი

ფეხბურთი

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ყარაბახი-რომა ............................ 1:2
ანდერლეხტი-სელტიკი ................ 0:3
ატლეტიკო-ჩელსი ....................... 1:2
ბაზელი-ბენფიკა ......................... 5:0
პსჟ-ბაიერნი ............................... 3:0
სპორტინგი-ბარსელონა .............. 0:1
ცსკა-მანჩესტერი ......................... 1:4
იუვენტუსი-ოლიმპიაკოსი ........... 2:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-უენსდი .................... 1:0
შეფილდი-ვულვზი ...................... 2:0

# აშშ-ში მკვლელი ჯამბაზი დაიჭირეს



ამერიკის ფლორიდის შტატში იპოვეს მკვლელი ჯამბაზი, რომელიც 27 წელი მართლმსაჯულებას ემალებოდა.

1990 წელს ქალაქ ველინგტონის მცხოვრებ მერლინ უორენს კარზე მიუკაკუნა ჯამბაზმა თეთრ სახით, დიდი წითელი ცხვირითა და წითური პარიკით. მას ხელში ეჭირა თაიგული და საჰაერო ბუშტები. როდესაც ქალმა კარი გააღო, გადაცმულმა ბოროტმოქმედმა მას ესროლა, მანქანაში ჩაჯდა და გაიქცა. ორი დღის შემდეგ უორენი გარდაიცვალა.

ეჭვი მოკლულის მეუღლე მაიკლ უორენსა და მის საყვარელ შილი კინზე მიიტანეს. აღმოჩნდა, რომ მკვლელობამდე ორი დღით ადრე ვიღაც ქალმა ჯამბაზის ტანსაცმელი, თეთრი გრიმი, წითური პარიკი და ხელოვნური ცხვირი სამასკარადო კოსტიუმების ადგილობრივ მაღაზიაში შეიძინა. მკვლელობამდე 90 წუთით ადრე ის სუპერმარკეტში ყვავილებისა და საჰაერო ბუშტების საყიდლად შევიდა. მაღაზიების გამყიდველებმა მყიდველში შილ კინი ამოიცნეს. ჩხრეკის დროს მის სახლში იპოვეს ჯამბაზის პარიკის ბოჭკოები. მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებლებმა ვერ მოახერხეს იმის დამტკიცება, რომ მკვლელობა სწორედ მისი ჩადენილი იყო, ორი წლის შემდეგ საქმე დაიხურა.

2014 წელს გამოძიება განახლდა. პალმ-ბიჩის ოლქის შერიფის ოფისის თანამშრომლებმა განმეორებით დაკითხეს მოწმეები. გაირკვა, რომ მეუღლის დაღუპვის შემდეგ მაიკლ უორენი შილ კინზე დაქორწინდა. ისინი საცხოვრებლად ტენესის შტატში გადავიდნენ და იქ რესტორანი გახსნეს. გამომძიებლებმა თითქმის მეოთხედი საუკუნის წინ ნაპოვნი ნივთმტკიცებები განმეორებით ექსპერტიზაზე გადააგზავნეს. დნმ-ს ანალიზმა დაადასტურა, რომ ჯამბაზის კოსტიუმში სწორედ შილ კიი იყო გამოწყობილი. შედეგად ის 26 სექტემბერს დააპატიმრეს და მკვლელობის ბრალდება წაუყენეს.

# ავარია გაჩიანთან — არიან დაშავებულები



ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავი-ლილოს საავტომობილო გზის გაჩიანის მონაკვეთზე. ერთმანეთს ფორდის სამარშრუტო მიკროავტობუსი და ჰონდა ფიტის მარკის ავტომობილი დაეჯახნენ.

ავარიის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა, რომლებიც სასწრაფო დახმარების ბრიგადამ კლინიკა „რუსთავში" გადაიყვანა.

ადგილზე საპატრულო პოლიციაა მობილიზებული. ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზებს გამოძიება დაადგენს.

# მექსიკაში თევზის წვიმა წამოვიდა



მექსიკის ქალაქ ტამპიკოში, რომელიც შტატ ტამაულიპასში მდებარეობს, თევზის წვიმა მოვიდა. ამის თაობაზე ინფორმაცია სოციალურ ქსელ ფეისბუქში რეგიონის სამოქალაქო თავდაცვის სამმართველომ განათავსა.

— საინტერესო შემთხვევას ჰქონდა ადგილი ტამპიკოში, სადაც ლომას-დე-როსალესის რაიონში წამოვიდა მსუბუქი წვიმა, რომლის დროსაც ციდან პატარა თევზები ცვიოდა, — ნათქვამია განცხადებაში.

# იტალიელს ოპერაციის შემდეგ მშობლიური ენა დაავიწყდა და ინგლისურად ალაპარაკდა




იტალიის პროვინცია სალერნოში ანესთეზიის შემდეგ გამოღვიძებულ 27 წლის გოგონას მშობლიური იტალიური ენა დაავიწყდა და გარშემომყოფებს მხოლოდ ინგლისურად ელაპარაკება.

თავდაპირველად ექიმებმა ამ ყოველივეს იუმორით შეხედეს, მაგრამ მალე იეჭვეს, რომ საქმე არც ისე სახუმაროდ იყო და ნევროლოგსაც კი უხმეს, რომელმაც ანესთეზიის მოქმედება პაციენტის ნერვულ სისტემასა და თავის ტვინზე დაადასტურა. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა ის ფაქტი, რომ ექიმებიდან არავინ იცოდა ინგლისური.

ინგლისურ ენაზე სამი საათის საუბრის შემდეგ გოგონას, როგორ იქნა, მშობლიური იტალიურიც დაუბრუნდა. აღმოჩნდა, რომ ის უცხო ენების შესწავლით იყო გატაცებული და ადგილობრივ ბავშვებსაც კი უტარებდა ინგლისური ენის გაკვეთილებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კუნძულ ბალიზე დაუქორწინებელ ტურისტებს სექსი აეკრძალებათ



შესაძლოა ინდონეზიაში შემოიღონ კანონი, რომლის თანახმადაც, დაუქორწინებელ წყვილს სექსის გამო ციხეში ჩასვამენ, — ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ავსტრალიური გამოცემა ავრცელებს.

პეტიცია მოწოდებით, რომ მათ, ვინც ქორწინებაში არ იმყოფება, აეკრძალოთ ინტიმური ურთიერთობები, ინდონეზიის საკონსტიტუციო სასამართლოში წლის ბოლომდე იქნება შეტანილი.

როგორც ორგანიზაცია Human Rights Watch-ს ინდონეზიის განყოფილების თანამშრომელი ანდრეას ჰარსონო ვარაუდობს, რომელმაც ამ ინიციატივის კომენტარი გააკეთა გამოცემისთვის, თუ აკრძალვა შემოღებული იქნება, ის, უპირველეს ყოვლისა, ჰომოსექსუალ წყვილებს შეეხება.

სპორტი

# ბითაძე და დიქსონი თამაშებს იგებენ



კალათბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები ნოემბერში დაიწყება და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რომელი კალათბურთელი რა ფორმაში შეხვდება ამ ტურნირს. ალბათ ისიც გეხსომებათ, რომ ნბა-სა და ევროლიგაზე მონაწილე გუნდების კალათბურთელები მონაწილეობას ვერ მიიღებენ. ამიტომაც ნაკრების კანდიდატთა პრაქტიკაც კი უმნიშვნელოვანესი იქნება.

საქართველოს ეროვნული ნაკრების 18 წლის წევრი გოგა ბითაძის მეგა ბიმაქსმა სეზონის წინ ბოლო საკონტროლო მატჩი გამართა. ბიმაქსელთა მეტოქე თანაქალაქელი ბელგრადი გახლდათ, რომელიც ბითაძის გუნდმა 100:74 გაანადგურა.

გამარჯვებულთაგან 6 კალათბურთელმა და მათ შორის ბითაძემაც მიაღწია 10-ქულიან ზღვარს. 18 წლის ქართველმა 10 ქულა დააგროვა. ბითაძის გუნდი სეზონის პირველი ოფიციალური შეხვედრა 1 ოქტომბერს ელის, როდესაც ადრიატიკის ლიგის ეგიდით ზაგრების ციბონას დაუხვდება.

მაიკლ დიქსონმა სტრასბურს საფრანგეთის ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოაპოვებინა. შეგახსენებთ, სტრასბურელებმა პირველი ტურის მატჩი დიქსონის 18 ქულის მიუხედავად ანტიბთან სტუმრად დათმეს, მეორე ტურში კი ასევე გასვლითი შეხვედრა ჩაატარეს ლევალუასთან და მაიკლის ლიდერობით 83:81 მოიგეს.

საქართველოს ნაკრების კალათბურთელმა 10-დან 6 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 3-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. ჯამში დიქსონმა 27 წუთში 19 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი და 1 დაფარება მიითვალა.

დიქსონის გუნდს მე-3 ტურის მატჩი 3 ოქტომბერს ელის, როდესაც შინაურ კედლებში შალონ-რეიმსს დაუხვდება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# შვეიცარიის ზოოპარკები მტაცებლებს შინაური ცხოველებით კვებავენ

შვეიცარიის ზოგიერთი ზოოპარკი მტაცებელ ცხოველებს შინაური ცხოველებით კვებავს, რომლებიც მათთან დამთვალიერებლებს მიჰყავთ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ციურიხის ზოოპარკის დირექტორი ალექს რუბელი ამტკიცებს, რომ მათ უტოვებენ ცხოველებს, რომლებიც პატრონებს აღარ სჭირდებათ: კურდღლებს, ზღვის გოჭებსა და შინაურ ვირთხებს. დაწესებულება სხვა შინაური ცხოველების მიღებაზე უარს აცხადებს, მათ შორის ძაღლებსა და კატებზე.

— ვეტერინარი ხოცავს ცხოველებს, შემდეგ კი შესაჭმელად აძლევს ვეფხვებს, ლომებსა და სხვა მტაცებლებს, — განმარტა რუბელმა.

შინაური ცხოველები ასევე მიჰყავთ ბერნის ზოოპარკშიც. დაწესებულების თანამშრომელი მარკ როსეტი ამტკიცებს, რომ ასეთი რამ კვირაში ერთიდან ხუთამდე ხდება. მისი თქმით, საუბარი ძირითადად მღრღნელებზეა, რომლებსაც მტაცებლებს საკვებად აძლევენ.



# ასტროპროგნოზი

## 29 სექტემბერი



**ვერძი** — პლანეტები თქვენ მიმართ არაკეთილგანწყობილნი არიან. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. არასაჭირო კონტაქტებს ერიდეთ. **კურო** — პოზიტიური დღეა. ენერგია გემატებათ. ილუზიებისგან გათავისუფლდით. **ტყუპები** — დასახულ გეგმებში ცვლილებები შევა. შესაძლოა ახალი სამსახური ან შემოსავლის უკეთესი წყარო იპოვოთ. **კირჩხიბი** — შეუძლებელ და რთულ საქმეს ნუ შეეჭიდებით. იმედი გაგიცრუვდებათ. არ იჯიუტოთ. **ლომი** — ბედი გამოცდას გიწყობთ. ამპარტავნობა, ქედმაღლობა და ფამილარობა საქმეს გაგიფუჭებთ. **ქალწული** — ყურადღებით იყავით, აკონტროლეთ შემოსავალ-გასავალი. ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება რეკომენდებული არ არის. **სასწორი** — ქალაქგარეთ გასვლისაგან თავი შეიკავეთ. მოსალოდნელია კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან. **ღრიანკალი** — კრიტიკული დღეა. ნებისმიერ ფასად სიმშვიდის შენარჩუნება გმართებთ. **მშვილდოსანი** — თქვენი გეგმები მეგობრებს გააცანით. ისინი სასარგებლო რჩევას მოგცემენ. გეზრდებათ შემოსავალი. **თხის რქა** — ახალგაცნობილ ადამიანთან გულახდილი ნუ იქნებით. სიზმარი წინასწარმეტყველური იქნება. **მერწყული** — სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. საქმე, რომელსაც ხელს მოჰკიდებთ, წარმატებით მოგვარდება. **თევზები** — ინტუიცია გიმახვილდებათ. ერიდეთ სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. ოჯახში მატერიალური პრობლემები იქმნება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. საცხოვრებლად განკუთვნილი შენობა სამხედრო ნაწილში; 2. თაღლითი, რომელიც რაიმეს სპეციალისტად ასაღებს თავს; 3. ქვიშიანი უდაბნო შუა აზიაში; 4. მკვრივი ქანების სანგრევი ორი წვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 5. სომხური ცეკვა; 9. პატარა იუმორისტული საესტრადო პიესა; 11. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 12. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 14. ცხარე გემოს მქონე ფრანგული ცხვრის ყველი; 18. პოეტი-მომღერალი მუსლიმურ ქვეყნებში; 19. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი.

**თარაზულად**: 4. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 5. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზესტაფონის მახლობლად; 6. ღვინის სასმისი; 7. სასიამოვნო სურნელება; 8. ბრიტანული ფარმაცევტული ფირმა; 10. საკრედიტო დაწესებულება; 13. უღელტეხილი კავკასიონზე; 15. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 16. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 17. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 20. მაღალფეხიანი ბროლის ჭიქა; 21. სვან მამაკაცთა ცეკვა; 22. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 23. იაპონური მოტოციკლეტი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტრიუმი; 2. კილტი; 3. გრახტი; 4. ქორქია; 6. „ფარაონი"; 9. არაყი; 11. კურიოზი; 15. ლაფონტენი; 16. ბონუსი; 17. პიკადორი; 19. იმპულსი; 21. პაპაინი; 22. „პანეში".

**თარაზულად:** 5. ერისთავი; 7. ავსტრია; 8. დრაივი; 10. გრაფიკა; 12. „იფქლი"; 13. „კრუპი"; 14. ბაყალხანა; 18. გრილი; 20. როსინი; 23. „მაინცი"; 24. პატი; 25. მოსადი; 26. შუნი; 27. ანანასი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვენეცია; 2. ორიენტერი; 3. ყინწვისი; 4. პერგოლა; 5. გვრინი; 9. რონოდა; 11. რუსტიკა; 12. პეპელა; 14. „სიმენსი"; 18. ეთერი; 19. ხუნდი.

**თარაზულად:** 4. პუდელი; 5. „გაგრიფში"; 6. გინზა; 7. პრატერი; 8. კენკრა; 10. უწერა; 13. იბსენი; 15. „ტვენტე"; 16. სიტე; 17. კარე; 20. ეტიუდი; 21. კამენა; 22. კარკასი; 23. „დროება".

# „იმედი“ ახალ მუსიკალურ შოუს იწყებს




ტელეკომპანია „იმედი“ ახალ მუსიკალურ პროექტს იწყებს. „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ – ასე ჰქვია შოუს და ის ამერიკული პროექტის „ამერიკან აიდოლის“ ქართული ანალოგია.

პროექტის ხელმძღვანელებმა უკვე გამოაცხადეს შესარჩევი კონკურსები მთელი საქართველოს მასშტაბით. შესარჩევი ტურები დასავლეთ საქართველოდან დაიწყება. 3 ოქტომბერს შოუში მონაწილეობის მსურველებს 3 ოქტომბერს მოუსმენენ, 4 ოქტომბერს – ზუგდიდში, 5 ოქტომბერს კი – ბათუმში. ყველა ქალაქში შესარჩევი ტურები წინასწარი რეგისტრაციის გარეშე ჩატარდება.

მუსიკალური შოუ წლებია მსოფლიო სატელევიზიო ეთერის ლიდერია. 17 წლის განმავლობაში მას რეიტინგი არ დაუკარგავს და ყველაზე ყურებადი გადაცემაა. ამერიკული აიდოლის ქართულ ანალოგს „იმედზე“ პროდიუსერები გიორგი ხაბურზანია და დემნა ჯაფარიძე აკეთებენ.

# წებელდის მთავარ ციხეს საფრთხე ემუქრება

აფხაზეთში, წებელდაში მდებარე მთავარ ციხესა და მდიდარ არტეფაქტებს საფრთხე ემუქრება.

განცხადებას ორგანიზაცია „აფხაზეთის მოამბე“ ავრცელებს, რომლის მიზანიც აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობისა და საგანძურის დაცვაა:

– წებელდაში მიმდინარე წლის 3 იანვარს დაწყებული მრამბის ეკლესიის დანგრევის მცდელობა კვლავ გრძელდება და ნადგურდება მნიშვნელოვანი კულტურული კერა.

3 იანვარს დაიწყო წებელდის ციხის შემადგენლობაში შემავალი მრამბის მე-8 საუკუნის ეკლესიის და გვიანდელი მე-19 საუკუნის პოლონელთა საფლაოსა და სალოცავის – მცირე ზომის ეკლესიისა და ციხის ნაწილების მძიმე ტექნიკით განადგურება. აღსანიშნავია, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, ხდება სამხედრო ბაზისთვის ე.წ. სამხედრო პოლიგონის მშენებლობა, თუმცა დადასტურებული ინფორმაციით მიმდინარეობს საქართველოსთან დამაკავშირებელი კიდევ ერთი სამხედრო გზის მშენებლობა.

ეს გზა მარუხისა და ქლუხორის უღელტეხილით უკავშირდება ჩრდილოეთ კავკასიას და, მეორე მხრივ, ეს გზა ჩამოდის ანაკლიაში. მდგომარეობა საგანგაშოა, რადგან ეს მშენებლობა საფრთხეს უქმნის წებელდის მთავარ ციხესა და მდიდარ არტეფაქტებს.

# ლევან ჯიბღაშვილმა დუმილი დაარღვია



მსახიობმა ლევან ჯიბღაშვილმა დუმილი დაარღვია და ყოფილ საცოლე ნინიკო ნაცარიშვილზე „ნანუკას შოუში“ ისაუბრა.

**ლევან ჯიბღაშვილი:**

– სენეკამ დაგვიტოვა ძლიერი სიტყვები: „რასაც კანონი არ კრძალავს, კრძალავს წესიერება“. წესიერება საიდან მოდის, ყველამ ძალიან კარგად ვიცით. ჩემთვის და მე ვფიქრობ, ზოგადად, ადამიანი იწყება ღირსებიდან და ვთვლი, რომ მას მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ღირსების გავლით შეუძლია გადადგას თითოეული ნაბიჯი და ეს ავტომატურად აისახება მის ღირსებაზე.

ამ ადამიანმა ჩემ ზურგს უკან გადადგა ისეთი ნაბიჯი, რაც არ უნდა გადაედგა და მე მასთან იმ წუთიდან დავამთავრე ყველანაირი ურთიერთობა. მასთან აბსოლუტურად არანაირი ურთიერთობა აღარ მაქვს. მე სადაც ვამთავრებ, იქ არასდროს არაფერს ვაგრძელებ.

# სოფო ბედიას ახალი კლიპი აქვს

მომღერალ სოფო ბედიას ახალი კლიპი აქვს. მან დუეტი ჩაწერა მომღერალ დათო ძიძიგურთან ალექსანდრე ბასილაიას სიმღერაზე „მერე“, რომელზეც მომღერლებმა ვიდეორგოლი გადაიღეს.

დუეტი მომღერლებმა ზაფხულში ახლებური ვერსიით ჩაწერეს, კომპოზიტორის მეუღლე ლუიზა კობალაძეს მოასმენინეს, მოწონება დაიმსახურეს და კლიპის გადაღებაც გადაწყვიტეს. გადაღებები ზაფხულში ჩაქვის ერთ-ერთ სასტუმროში მიმდინარეობდა.



სიმღერის არანჟირება ცირა ბზიშვილს ეკუთვნის, კლიპი ნატო დუმბაძემ გადაიღო, ვიდეორგოლის ოპერატორი კი ლევან აბულაძეა.

**სოფო ბედია:**

– „თბილიონში“ ჩემი და დათო ძიძიგურის ახალი კლიპის პრემიერა გაიმართა. სიმღერა ეკუთვნის ბატონ ალექსანდრე ბასილაიას. ის ამ სიმღერას თავის მეუღლესთან, ლუიზა კობალაძესთან ერთად ასრულებდა. ჩვენთვის დიდი პასუხისმგებლობა და რისკია ასეთი არაჩვეულებრივი ადამიანების შემდეგ ამ დუეტის შესრულება.

# იტალიელი საკუთარ თავზე გათხოვდა



იტალიელმა ლაურა მესიმ ქორწილი ყველა წესისა და ატრიბუტიკის დაცვით გადაიხადა, თუმცა საზეიმო ცერემონიას 70 სტუმრით, თეთრი საქორწინო კაბით, პატარძლის დაქალებითა და უზარმაზარი ტორტით ერთი უმთავრესი, სიძე, აკლდა.

ფიტნეს-მწვრთნელად მომუშავე მესიმ ასე შეასრულა მშობლებისთვის მიცემული საკუთარ თავზე გათხოვების პირობა, თუ 40 წლის ასაკისთვის ცხოვრების თანამგზავრს ვერ იპოვიდა. აღსანიშნავია, რომ ორი წლის წინ მან მეგობარ მამაკაცთან გაწყვიტა ურთიერთობა, რომელიც 12 წელს გრძელდებოდა.

– ზღაპრები პრინცების გარეშეც არსებობს, – განაცხადა ლაურა მესიმ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გელა დაიაური პოლიტიკაში წავიდა




მუცოელი პოეტი გელა დაიაური პოლიტიკაში წავიდა. 21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებში გელა დაიაური დუშეთის მერობისთვის იბრძოლებს.

„გზა ევროპისკენ“ – ასეთია პარტიის ლოზუნგი, რომელსაც პოეტი აბსოლუტურად იზიარებს და მზად არის, თავისი გამოცდილება დუშეთის მოსახლეობას მოახმაროს.

გელა დაიაურის კანდიდატურა დუშეთის მერობის კანდიდატად პარტიამ „ბაქრაძე-უგულავა ევროპული საქართველო“ წარადგინა.

ინფორმაცია პოეტმა სოციალურ ქსელში გაავრცელა, რასაც უამრავი დადებითი კომენტარი მოჰყვა.

# აზულეჟოს პანოს რესტავრაცია დასრულებულია



კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი ინიციატივით ლისაბონის გრასას ეკლესიაში ცოტა ხნის წინ დასრულდა ქეთევან დედოფლის წამების ამსახველი XVIII საუკუნის პანოს რესტავრაცია.

იმდროინდელი ტრადიციული ტექნოლოგიით, ქაშანურისა და ფაიფურის ფილებით დამზადებულმა პანომ, რომელიც პორტუგალიელი ოსტატების მიერ კათოლიკური ეკლესიის დაკვეთით და თვითმხილველი მისიონერების მიერ აღწერილი ისტორიების საფუძველზე შეიქმნა, პირველადი სახე დაიბრუნა.

გრასას მონასტერში დაცული მდებარე ქეთევან დედოფლის წამების ამსახველი 1080-ფილიანი აზულეჟოს პანო წარმოადგენს 12 მეტრის სიგრძისა და 3 მეტრის სიმაღლის კომპოზიციას, რომელიც პორტუგალიური ხელოვნების ტრადიციული სტილით, მოჭიქული თიხის ფილებზე ლურჯი საღებავითაა შესრულებული. მასზე გამოსახულია ქეთევან დედოფლის ირანში ჩაბრძანება, წამება და შემდეგ ავგუსტინელი ბერების მიერ წმინდანის ნაწილების გადაცემა მეფე თეიმურაზისათვის.

პანოს რესტავრაციის საჭიროების საკითხი მიმდინარე წელს, საქართველო-პორტუგალიას შორის მოლაპარაკების დროს დადგა დღის წესრიგში, რაც მისი მძიმე საკონსერვაციო მდგომარეობით იყო ნაკარნახევი. არსებობდა კედლიდან ფილების ჩამოცვენისა და დაზიანების საფრთხე. პანოზე აღინიშნებოდა კერამიკული ფილების ნაკლებობა. კომპოზიციის საყრდენი კედელი მძიმე მდგომარეობაში იყო. დაზიანებული იყო კომპოზიციის პერსონაჟების თვალები და სახეები.

გრასას სამრევლოსა და საქართველოს საელჩოს წარმომადგენლების რეკომენდაციით, პანოს აღდგენა და კონსერვაციის სათანადო მეთოდოლოგიით ჩასატარებლად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტომ პორტუგალიური კომპანია ტექსეირა დუარტე შეარჩია. პორტუგალიური მხარის განმარტებით, აღნიშნული კომპანია ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი იყო აზულეჟოს რესტავრაციის საკითხებში. სამუშაოები მოიცავდა 36 მოჭიქული კერამიკული ფილის ასლების დამზადებასა და მათი ხელით მომინანქრებას, პანოდან ნახატის ამოღებასა და შეღებვას, ფილების მოხარშვას, აღდგენა-კონსერვაციასა და მათ ხელახლა ჩასმას გამოსახულებაში. გათვალისწინებული იყო ასევე პანოს კონსოლიდაცია ცარცით, მისი ეტაპობრივი ქიმიური წმენდა და სოკოს საწინააღმდეგო სითხით დამუშავება.

საერთო ჯამში, სამუშაოების ღირებულებამ 16.000 ევრო შეადგინა. მთავრობის 2017 წლის განკარგულების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტომ ქეთევან დედოფლის წამების ამსახველი XVIII საუკუნის პანოს რესტავრაციის მომსახურება გამარტივებული შესყიდვის წესით განახორციელა. 36 კვადრატული მეტრი ფართობის პანოს რესტავრაციის შემდეგ მის აბრაზე პორტუგალიური, ფრანგული და ინგლისურენოვანი წარწერის პარალელურად უკვე არსებობს ქართულენოვანი მინაწერიც, რომელიც პანოს რესტავრაციის პროცესის საქართველოს მთავრობის დახმარებით განხორციელებას მოწმობს.

ქეთევან დედოფლის წამების ამსახველი პანო განსაკუთრებული ისტორიული და რელიგიური მნიშვნელობის ძეგლია ორივე ქვეყნისათვის. იგი ადასტურებს პორტუგალიელი მისიონერების ჩასვლას აღმოსავლეთში და პირველი ქრისტიანული საზოგადოებების შექმნას. საქართველოსთვის მისი რესტავრაცია მაღალი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული მნიშვნელობისაა და საქართველოსა და პორტუგალიას შორის არსებული მჭიდრო კავშირების გაღრმავებას უზრუნველყოფს. ცნობილია, რომ სხვადასხვა დროს პანოს აღმოჩენასა და შესწავლაში ქართველმა მეცნიერებმა დიდი როლი შეასრულეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

სამშობიარო სახლი და პედიატრიული საავადმყოფო „იმედის კლინიკა“ თანაუგრძნობენ ექიმ კოტე ხარაბაძეს დედის, ქალბატონი

**ლილი სოხაძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

## პარასკევი 29 სექტემბერი

**06.00** მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მხიარული ფერმა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. **"წინ" წარმატებისკენ"** **10.00, 01.30** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **12.30, 02.30** დღის მხ/ფ **"საბრინა"** (ო.ჰეპბერნი) **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 04.20** დოკ/ფ "რამ გაანადგურა ჰინდენბურგი" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. **"ოფისი"** **18.30** ქართ"დოკუმენტალისტიკა "შავთეთრი ომი" **19.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** "არჩევნები" **22.30** მხ/ფ **"კინგ კონგი"** (ე.ბროუდი) **05.05** დოკ/ფ "ჟან პოლ გოტიე"

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ გთავაზობთ.**

**06.30, 16.00** სერ. **"ტყუილი"** 8-9 სერ. **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.40** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. **"ელიფი"** **11.20** სერ. **"ფიცი"** **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. **"ხაფანგი"** **18.50, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება"** **20.58** ამინდი **21.00** საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი - მსოფლიოს ვარსკვლავები საქართველოსთვის **22.30** მხ/ფ **"პოლიბრი"** **00.20** მხ/ფ **"გახსოვდეს"** **02.10** მხ/ფ **"ულტრა ამერიკელი"** **03.55** მხ/ფ **"ილუზიონისტი"** **05.40** მხ/ფ **"დრაკონის თვალები"**

**06.00, 18.50** სერ. **"დესპოტი ქმარი"** **07.00, 20.03** სერ. **"დედამთილი"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"ფერიდას საიდუმლო"** **15.30** სერ. **"წარსულის ჩრდილი"** **16.55** სერ. **"უსასრულო მოლოდინი"** **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 4 **02.00, 03.00** მხ/ფ **03,30** კურიერის დაიჯესტი **04.00, 05.00** მხ/ფ

**08.00** ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. **"ცისფერი სისხლი-2"** **11.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები-2"** **13.00** სერ. **"ძვლები 8"** **17.00** სერ. **"კრიმინალური აზროვნება: საძღვარგარეთ"** **19.00** სერ. **"ცისფერი სისხლი-2"** **21.00** სერ. **"სპირალი 3"** **22.30** მხ/ფ **"რკინის კაცი ედი"** **00.30** მხ/ფ **"ცეცხლოვანი კედელი"** **02.30** მხ/ფ **"ატლანტიდის გულები"** **04.20** მხ/ფ **"დაივიწყე პარიზი"** **06.10** მხ/ფ **"ანაპოლისი"**

**08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. **"ბანდოლერა"** **10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 00.40, 01.00** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.10** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.45** ფაბრიკა **18.30** სერ. **"ყველაფერი ცხოველების შესახებ"** **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. **"სიყვარულსა და შიშს შორის"** **22.00** სერ. **"ჯადოსნური ამბავი"** **23.00** მხ/ფ **"მაპატიე სიყვარულისთვის"** **3.45** ცენზურის გარეშე

**06.15** კვირიაკე **07.10** დ/ფ "ველური ბუნება-რატომ დაიღუპნენ სელაპები" **07.35** ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა" ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **09.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** მსოფლიო საგანძური "ბელენი-პორტუგალიის ძლევამოსილების დასტური" **10.25** თბილისის ტაძრები "წმინდა ნიკოლოზის ტაძარი ნარიყალა" **10.35** ერთხელ ბავშვობაში "კახა ონაშვილი-მძლევარი" **11.10** ერთსულოვანი ოჯახი **12.10** მხ/ფ **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"** **13.30** ან/ფ "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "მინანქარი" **15.05** ქართული ან/ფ **15.15** "გადაცემა ოპერა"- "ნორმა" I, II; **18.10** არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია...რაჭა-ლეჩხუმი **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი"** **20.40** ძილი ნებისა "სამი მტევანი ყურძენი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "წინწყაროდან ჭიჭავამდე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გზა, რომლითაც ვიარე "სერგი მაკალათია" **23.35** ღვთის სახლი "გერის წმინდა გიორგის ტაძარი" **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** დ/ფ "სათავეებთან-ქართული ანბანი" **01.30** მხ/ფ **"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"**

მაესტრო **10.00- 03.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 02.30** ბიზნესი 1 (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.45 - 02.45** ტექნოლოგიები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.50 - 02.50** სპორტი1 (განმეორება ყოველ ერთ საათში) **11.00 - 23.00** ახალი ამბები - მთავარი თემა 2 (განმეორება ყოველ ორ საათში) **22.15, 00.15, 01.15, 02.15, 03.15,** უცხოეთის ამბები **17.30** ბიზნესი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**29 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.4829 |
| ევრო | — 2.9497 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.3397 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.3289 |

## ამინდის პროგნოზი 29 სექტემბრისთვის





## 14 სექტემბრიდან




### ელენე ახვლედიანი

მაღალი პოლიგრაფიული დონით შესრულებული ალბომი არაჩვეულებრივი საჩუქარია მხატვრის თაყვანისმცემლებისთვის და არამარტო მათთვის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 19 სექტემბრიდან

ალექსანდრე იასალაშვილი

### „მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი, ტომი 1




**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 21 სექტემბრიდან




### გიგო გაბაშვილი

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 22 სექტემბრიდან




ალექსანდრე იასალაშვილი

### შავი ვარდი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 28 სექტემბრიდან

მანანა ხვედელიძე

### ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია




**ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი**


## ორი წლის გოგონამ პრინც ჰარის პოპკორნი მოჰპარა

სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეორგოლი, რომელზეც აღბეჭდილია, თუ როგორ ჰპარავს ორი წლის გოგონა პოპკორნს ბრიტანეთის პრინც ჰარის. აღნიშნული ვიდეო ინვალიდი სამხედროებისთვის განკუთვნილ საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრება „დაუმარცხებელთა თამაშებზე“ იქნა გადაღებული.

კადრში ჩანს, რომ ბავშვი, რომელიც ტრიბუნაზე პრინც ჰარის გვერდით მჯდომი დედის მუხლებზეა მოკალათებული, მისი პაკეტიდან იღებს პოპკორნს. თავდაპირველად პრინცმა ეს ვერ შენიშნა, შემდეგ კი გოგონას გაეხუმრა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





## იუმორი

გამოცდაზე სტუდენტი ვერც ერთ კითხვას ვერ პასუხობს. მოთმინებიდან გამოსულმა პროფესორმა სტუდენტს უღრიალა:

– ნამდვილი სახედარი ხართ!

შემდეგ კი ასპირანტს მიმართა:

– წადი და თივა მომიტანეთ.

– მე კი ფინჯანი ყავა, თუ შეიძლება, – უთხრა სტუდენტმა.

•••

ზამთარია, ცოლი წინდას ქსოვს, ქმარი ჟურნალს კითხულობს და უცბად წამოიძახებს:

– თურმე ყველა ცოცხალ არსებას შორის ორგაზმს მხოლოდ ქალი განიცდის.

– შეამოწმე? – თვალის ჩაკვრით ეუბნება ცოლი.

კაცი წამოდგა, ფეხზე ჩექმები ჩაიცვა და გარეთ გავიდა. გარკვეული დროის შემდეგ დაბრუნდა და ცოლს ეუბნება:

– ძროხა და ვირი, ნამდვილად არ განიცდიან, აი ღორი კი ისე კრუსუნებდა, რომ ეჭვი მეპარება.

•••

ზამთარია, ცოლი და ქმარი კამათობს, თუ ვინ უნდა წავიდეს ბავშვის საბავშვო ბაღიდან გამოსაყვანად. ქმარი ეუბნება:

– ქურქი გიყიდე?

– მიყიდე!

– ჩექმები გიყიდე?

– მიყიდე!

– ჰოდა, წადი და ბავშვი გამოიყვანე.

– და შენ რატომ არ უნდა წახვიდე?

– რითი? წინდებით და პირის საპარსი ქაფით?

•••

პოლიკლინიკიდან სამი ექიმი გამოდის. სტომატოლოგი:

– ღმერთო ჩემო, ჰაერი! სუფთა ჰაერი!

პათოლოგოანატომი:

– ადამიანები, ცოცხალი ადამიანები!

გინეკოლოგი:

– მთავარია სახეები! სახეები!

•••

ქალი მაღაზიაში რეკავს:

– ალო, იცით, გუშინ თქვენთან ჩემმა ქმარმა სამზარეულოს ნაკრები იყიდა და ტაფა აკლია.

– მასზე თავად თქვენმა ქმარმა თქვა უარი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 15 სექტემბრიდან

ედუარდ ლირი

### ბუკნაჭო და ფისუნია

კრებულში შესულ ყოველ ლექსს განთქმული მხატვრის, რობერტ ინგპენის, ხალისიანი ილუსტრაციები ამშვენებს.

წიგნი ბრწყინვალე საჩუქარია პატარებისთვის, რომელიც მათ კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში განუვითარებს წარმოსახვის უნარს.




**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**


## „ფლეიბოის“ დამაარსებელი ჰიუ ჰეფნერი გარდაიცვალა



გარდაიცვალა ჟურნალ „ფლეიბოის“ დამაარსებელი ჰიუ ჰეფნერი. ის 91 წლის იყო. ჰეფნერი საკუთარ ვილაში ახლობლებისა და მეგობრების წრეში აღესრულა.

ჰიუ ჰეფნერი 1926 წელს დაიბადა. მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა, როგორც სამხედრო კორესპონდენტი.

„ფლეიბოის“ პირველი ნომერი მან 1953 წელს გამოსცა. ჟურნალი პოპულარული მას შემდეგ გახდა, როცა შიშველი მერილინ მონროს ფოტოები გამოაქვეყნა.

– ვისურვებდი, რომ მერილინ მონროს გვერდით დამკრძალონ. აკი ჩემი ჟურნალი პოპულარული სწორედ მისი წყალობით გახდა, – წერს თავის ანდერძში ჰეფნერი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ნიკა გვარამია ტელეწამყვანი გახდა



ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ტელეწამყვანი გახდა.

რუსთავი 2 ახალ კულინარიულ შეჯიბრებას იწყებს. ინფორმაციას პროდიუსერი დათო იმედაშვილი ავრცელებს. გადაცემა ცნობილი უცხოური გადაცემის „მაი ქიჩენ რულს“ („ჩემი სამზარეულო საუკეთესოა“) ქართული ანალოგია.

გადაცემის წამყვანი ცნობილი ქართველი შეფმზარეული გურამ ბაღდოშვილი იქნება, ერთ-ერთი წამყვანი კი – ნიკა გვარამია.

„მაი ქიჩენ რულს“ ავსტრალიური ტელეგადაცემაა, რომელიც შეჯიბრების ხასიათს ატარებს. გადაცემის სატელევიზიო ეთერში გასვლის დღიდან ის ავსტრალიაში ძალიან მაღალი რეიტინგით სარგებლობს და წლის 10 საუკეთესო ტელეპროგრამას შორის ხვდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ოპიუმის ძველი სახელწოდება; 2. ტვირთბრუნვით ირანის ყველაზე დიდი ნავსადგური; 3. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 4. სატუსაღო ძველ თბილისში; 6. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 9. ციტრუსების კანის ზედა შეფერილი ფენა; 11. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 15. ორგანიზმის შეუვალობა შხამის, ვირუსის წინააღმდეგ; 16. მესხების, გურულების, აჭარლების მოკლე ჩოხა; 17. აშშ-ის ქალაქი მექსიკის ყურეში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრი; 19. ტროპიკული ხილი; 21. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 22. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული.

**თარაზულად**: 5. სასჯელიდან პირობით განთავისუფლება; 7. სამხედრო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ძველად საქართველოში; 8. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 10. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 12. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 13. ნიგერიის დედაქალაქი; 14. ერთი დანიშნულების მქონე საგნების სრული კომპლექტი; 18. ცხარე საწებელი; 20. იმრე კალმანის ოპერეტა; 23. მდინარე რიონის ძველი სახელწოდება; 24. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 25. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური კომპანია; 26. ლუდის დანალექი, გამონახარში; 27. ატომგულის დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*